პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

11 მარტი კვირა 1973 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 59 (15576)

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

თბილისსა და რუსთავის გარშემო აშრიალდება ტყეები

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება ქალაქების თბილისისა და რუსთავის მწვანე ზონის გაფართოების, გარემოს გაჯანსაღებისა და მშრომელთა მასობრივი დასვენების პირობების გაუმჯობესების შესახებ.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ეკონომიკისა და კულტურის განვითარების, ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების კვალობაზე, ხუთდღიანი სამუშაო კვირის პირობებში მკვეთრად გაიზარდა მშრომელთა მოთხოვნილება დაისვენონ ბუნების წიაღში, ტყის საგარეუბნო ზონებში. ტყე ამასთან დიდ ესთეტიკურ გავლენას ახდენს ადამიანზე. ბუნების წიაღში დასვენება ხელს უწყობს ადამიანთა შემოქმედებითს განწყობილებას, წარმოშობს დადებითს ემოციებს, უნერგავს ჰუმანიზმს, მშობლიური მხარის, „სამშობლოს სიყვარულს.

„ბუნების დაცვის გაძლიერებისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს დადგენილება კონკრეტული პროგრამაა, რათა განვახორციელოთ სატყეო მეურნეობის გაუმჯობესების, ტყის დაცვის გაძლიერების, ტყის მოვლის სამუშაოთა გაფართოების ამოცანები, რომლებიც სკკპ XXIV ყრილობამ დაგვისახა.

ამ ბოლო წლების მანძილზე რესპუბლიკაში გაწეულია გარკვეული მუშაობა ტყის ფართობების გადიდებისათვის, მაგრამ სატყეო მეურნეობის წარმოება საგარეუბნო მწვანე ზონაში ჯერ მთლიანად ვერ შეესაბამება თბილისისა და რუსთავის გარემოს სანიტარულ-ჰიგიენური პირობების გაუმჯობესების მიზნებსა და ამოცანებს.

იმის გამო, რომ სწორად ვერ არჩევდნენ ჯიშებს, სათანადოდ ვერ უვლიდნენ ნარგავებსა და არღვევდნენ აგროტექნიკის წესებს, ვერ გაიხარა ტყის კულტურებმა, დიდ ფართობებზე დაიღუპა ტყეები. სწორედ ამიტომ თბილისსა და რუსთავის მიდამოებში ბევრი ძალზე გამეჩხერებული ტყის მასივები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ, გაითვალისწინეს რა უახლოეს 15-20 წლის მანძილზე მოსახლეობის ზრდისა და მრეწველობის განვითარების პერსპექტივა, მიიღეს გაფართოებული დადგენილება, რომლის მიზანია ძირეულად გაუმჯობესდეს სატყეო მეურნეობის გაძღოლა თბილისისა და რუსთავის ზონებში და შეიქმნას მშრომელთა მასობრივი დასვენების ხელშემწყობი პირობები.

დამტკიცდა თბილისისა და რუსთავის მწვანე ზონის და ტყის ფართობების საზღვრები და ნუსხა. მათი საერთო ფართობი 319.638 ჰექტარს შეადგენს. 1973-1990 წლებისათვის განისაზღვრა თბილისისა და რუსთავის მწვანე ზონაში 90 ათას ჰექტარზე ტყის აღდგენის სამუშაოთა საერთო მოცულობა, რაც სამუშაოთა საშუალო წლიური მოცულობის დონით ერთიორად აღემატება მეცხრე ხუთწლედის ორ წინა წელიწადში შესრულებულ სამუშაოთა მოცულობას.

გათვალისწინებულია ტყის სანერგე მეურნეობის განვითარება იმ ვარაუდით, რომ ყოველწლიურად ტყის აღდგენისათვის გაზარდონ დაახლოებით 7-8 მილიონი ცალი დიდი ზომისა და ხაჭერო ასორტიმენტის სანერგე მასალა.

ცხვარიჭამიის, საბადურის, გლდანის, მარტყოფის, გალავნის, გულელებისა და საგურამოს ნაკრძალის ტყის მასივების ბაზაზე შეიქმნება საგურამოს ეროვნული პარკი, რომლის ფართობი 30.600 ჰექტარი იქნება.

ტყის მეურნეობის გაუმჯობესებისა და მშრომელთა მასობრივი დასვენების ორგანიზაციის საქმეში გზატკეცილების ქსელის დიდი მნიშვნელობის გათვალისწინებით განისაზღვრა თბილისისა და რუსთავის მწვანე ზონაში 1973-1990 წლებში 1.300 კილომეტრი საავტომობილო გზების მშენებლობა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მოიწონეს საქართველოს ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ინიციატივა 1973-1974 წლებში ჰიდროგეოლოგიურ და საინჟინრო-გეოლოგიურ პრობლემათა სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიების ძალებით აწარმოონ ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური გადაღება, რათა განსაზღვრონ მწვანე ზონის ტერიტორიის წყლის რესურსები და რეკომენდაციები ამ წყლების გამოყენებისათვის.

საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს ევალებათ უზრუნველყონ, რომ სამრეწველო, კომუნალურმა და სხვა საწარმოებმა ზუსტად დაიცვან სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ჩანადენის გაწმენდის, მავნე ნარჩენებისაგან ატმოსფეროს დაცვის, სამეურნეო-საყოფაცხოვრებო და სამრეწველო ნარჩენების ნეიტრალიზაციისა და დაწვის, მიწების რეკულტივაციის ნორმატიული მოთხოვნები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაავალეს პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტსა და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს, პარტიის დუშეთის, გარდაბნის, თიანეთის, ბოლნისის, მარნეულის, მცხეთის, თეთრი წყაროს რაიკომებსა და ამ რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს შეიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებანი თბილისისა და რუსთავის მწვანე ზონის გაფართოების, გარემოს გაჯანსაღებისა და მშრომელთა მასობრივი დასვენების პირობების გაუმჯობესების შესახებ დადგენილების განხორციელებისათვის.

დასახული პროგრამის შესრულებაში ფართოდ უნდა ჩავაბათ მშრომელები, განსაკუთრებით ახალგაზრდობა, გამოვნახოთ ამ საქმეში საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, სამეცნიერო დაწესებულებების, მოსწავლე ახალგაზრდობისა და სტუდენტობის აქტიური მონაწილეობის ახალი ფორმები.

პრაქტიკაში უნდა დამკვიდრდეს საწარმოთა ცალკეული კოლექტივებისათვის ტყის მონაკვეთების მიჩენა მათი კეთილმოწყობისა და ტყის ახალი ფართობების შექმნისათვის, მშრომელთა დასვენების ბაზების ორგანიზაციისათვის, უნდა გაჩაღდეს საწარმოთა კოლექტივების სოციალისტური შეჯიბრება დევიზით „ბუნების დაცვა და მისი სიმდიდრის გამრავლება საყოველთაო-სახალხო საქმეა“.

მოსწავლე ახალგაზრდობაში ბუნებრივი და ტყის სიმდიდრის პროპაგანდისათვის, მოზარდ თაობაში მშობლიური ბუნების პატივისცემისა და სიყვარულის დანერგვისათვის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტმა, განათლების სამინისტრომ, საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა ფართოდ უნდა გაშალონ მუშაობა „სასკოლო სატყეო მეურნეობათა“ შექმნისათვის და ამ საქმეში აქტიურად ჩააბან მოსწავლეები.

თბილისისა და რუსთავის ტყის ზონის ყველაზე ლამაზი ადგილების პოპულარიზაციისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის სახელმწიფო კომიტეტმა გაითვალისწინოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის შეკვეთით ბროშურების, ფერადი ბუკლეტების, ტყის რგვის აგროწესების, ტყის დაცვის ინსტრუქციის, მწვანე ნარგავებით სარგებლობის წესების, პლაკატებისა და სხვა იმ მასალების გამოცემა, რომლებიც დაკავშირებულია ბუნების დაცვასა და მშრომელთა მასობრივი დასვენების ორგანიზაციასთან.

რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტს წინადადება მიეცა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის შეკვეთით გაითვალისწინოს მოკლემეტრაჟიანი ფილმების წარმოება სანძრისაგან, მავნებლებისა და დაავადებებისაგან ბუნებისა და ტყის დაცვის, ტყეებში მოსახლეობის კულტურული დასვენების ორგანიზაციის შესახებ.

რესპუბლიკური ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს წინადადება მიეცათ სისტემატურად გააშუქონ მწვანე ზონის სატყეო მეურნეობის გაძღოლისა და მშრომელთა დასვენების ორგანიზაციის საკითხები, გამოაქვეყნონ მუშების, სპეციალისტების, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკების, საზოგადო მოღვაწეების გამოსვლები გარემოს გაჯანსაღების საკითხებზე, ფართო პროპაგანდა გაუწიონ ტყეების გაფართოების, ბუნებრივი სიმდიდრის გამრავლების საქმეში მოწინავე კოლექტივების გამოცდილებასა და მიღწევებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ამ დადგენილების შესრულების უზრუნველყოფისა და ამ მიმართულებით სამინისტროთა და უწყებათა, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მუშაობის კოორდინაციისათვის შეიქმნა მუდმივი კომისია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გ. დ. ჯავახიშვილის თავმჯდომარეობით.

დადგენილებაში აღნიშნულია აგრეთვე, რომ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტმა, პარტიის სოხუმის, ბათუმის, ცხინვალის, ქუთაისის, ტყიბულის, ტყვარჩელის, ჭიათურის, ზუგდიდის, საოლქო კომიტეტებმა, ზესტაფონის რაიონულმა კომიტეტმა და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების შესაბამისმა აღმასკომებმა უნდა შეიმუშაონ წინადადებანი ამ ქალაქების გარშემო ტყის ზონების შექმნისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რომლებიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ თბილისისა და რუსთავის გარშემო მწვანე ზონის შექმნას, მიაჩნიათ, რომ ეს ღონისძიება დიდი სახელმწიფო მნიშვნელობის საერთო სახალხო საქმეა, რომლის მიზანია გარემოს გაჯანსაღება და მშრომელთა ჯანმრთელობის განმტკიცება, მათთვის პატრიოტული გრძნობისა და მშობლიური მხარის, ბუნების პატივისცემის, ესთეტიკური გემოვნებისა და მშვენიერების სიყვარულის ჩანერგვა და განვითარება, მშრომელთა გონივრული, სრულფასოვანი და კულტურული დასვენების ორგანიზაციის გაუმჯობესება, შინაარსისა და ფორმების გამდიდრება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მოუწოდებენ რესპუბლიკის პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ ამ დადგენილების პროპაგანდასა და შესრულებაში, იმ ღონისძიებათა განხორციელებაში, რომლებიც ხელს უწყობენ უკეთილშობილესი მიზნის მიღწევას — მშობლიური მხარის მწვანე ნარგავების გამრავლებასა და ბუნების დაცვას, ტყეებისა და პარკების გაფართოებასა და გამდიდრებას.

(საქინფორმი).



ტყე ჩვენი სიმდიდრეა

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი, თუ როგორ ასრულებს ქიმიური მრეწველობის სამინისტრო მინერალური სასუქების წარმოების ხუთწლიან გეგმას.

მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ქიმიური მრეწველობის სამინისტრომ, ქიმიური და ნავთობის მანქანათმშენებლობის სამინისტრომ, მთელმა რიგმა სხვა სამრეწველო სამინისტროებმა და სამშენებლო სამინისტროებმა განახორციელეს დიდი მუშაობა სახოფლო-სამეურნეო წარმოების ქიმიზაციის დარგში პარტიის მიერ დასახულ ამოცანათა შესასრულებლად, რაც ხოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების ამ პროგრამის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია, რომელიც სკკპ XXIII და XXIV ყრილობებმა შეიმუშავეს.

ამ ბოლო შვიდ წელიწადში ამოქმედდა მინერალური სასუქების წარმოების ახალი სიმძლავრენი 43 მილიონი ტონის ოდენობით, რაც აღემატება ყველა სიმძლავრეს, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში მოქმედებდა მერვე ხუთწლედის დამდეგისათვის. ახალი ქარხნები და ხაამქროები შენდება თანამედროვე ტექნიკური საფუძველზე პროგრესული ტექნოლოგიური პროცესებისა და დიდმწარმოებლური მოწყობილობის გამოყენებით. ამ დროის მანძილზე მინერალური სასუქების წარმოება და მათი მიწოდება ხოფლის მეურნეობისათვის ერთიორად და მეტად გაიზარდა ძირითადად ახალ სახეობათა კონცენტრირებული და რთული სასუქების წარმოების ათვისების შედეგად.

კარგად დაიწყო მომდინარე ხუთწლედის დავალებათა შესრულება. მინერალური სასუქების წარმოების გასული ორი წლის სახალხო-სამეურნეო გეგმა და ახალ სიმძლავრეთა ამოქმედების დავალებანი შესრულებულია.

ეს პარტიული ორგანიზაციების დიდი ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის, ქიმიკოსების, მშენებლებისა და მანქანათმშენებლების მაღალი შრომითი აქტივობის შედეგია.

ამასთან ერთად სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ქიმიური მრეწველობის სამინისტრო ჯერ კიდევ სრულად ვერ იყენებს არსებულ შესაძლებლობებს, რათა კიდევ უფრო დაიჩქაროს სასუქების წარმოების ზრდის ტემპი, ვერ გაშალა სათანადო მუშაობა წარმოების ეფექტიანობის გადიდებისათვის. დარგს აქვს დიდძალი ამოუხავებული საამქროები და დანადგარები, რომლებიც დიდი ხნის მანძილზე ვერ ითვისებენ საპროექტო სიმძლავრეებს. ამის გამო სახალხო მეურნეობას აკლდება დიდძალი სასუქები. არის ნაწარმოები, რომლებიც ვერ ახრულებენ წარმოების მოცულობის, შრომის ნაყოფიერების დავალებებს და სხვა ეკონომიურ მაჩვენებლებს.

სამინისტროს ჯერაც არ განუხორციელებია უველა საჭირო ღონისძიება მინერალური სასუქების ხარისხის გაუმჯობესებისათვის. ფოსფორიანი და სხვა სასუქების მნიშვნელოვან ნაწილს არაგრანულირებული სახით უშვებენ და ახლინ იტკეკნება ტრანსპორტირებისა და შენახვის დრო.

ხერხოზული ნაკლოვანებანია მინერალური სასუქებისა და მათი ნედლეულის ხაწარმოთა მშენებლობაში. წინა ორ წელიწადში სამშენებლო სამინისტროებს დიდი ჩამორჩენა აქვთ ასამუშავებელი ობიექტების მშენებლობაში.

აღინიშნა აგრეთვე არსებითი ნაკლოვანებანი მინერალური სასუქების მრეწველობისა და საერთო ქიმიური მოწყობილობის წარმოებაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში უურადღება ექცევა იმას, რომ ზოგიერთი საოლქო და საქალაქო პარტიული ორგანიზაცია უველა საჭირო ღონისძიებას არ ახორციელებს, რათა ხაწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების მთელი მეცადინეობა მოახმაროს კაპიტალური მშენებლობის დავალებათა მეცხრულებას, ახალ სიმძლავრეთა დროულად ათვისებას, მოქმედი ქარხნებისა და საამქროებიო ხელახალ ტექნიკურ აღჭურვას, წარმოების რეზერვებიო უფრო სრულად გამოვლინებასა და გამოყენებას.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა ქიმიური მრეწველობის მინისტრს ამბ. კოსტანდოვს აღმოფხვრას მინერალური სასუქებისა და მათი ნედლეულის წარმოებიტ განვითარებიტ შესახებ სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების შესრულებაში არსებული ნაკლოვანებანი. სკკპ ცენტრალური კომიტეტს 1972 წლის დეკემბრის პლენუმის მოთხოვნების შესაბამისად ქიმიური მრეწველობის სამინისტროს მიეცა წინადადება განახორციელოს ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ მინერალური სასუქების მრეწველობის მუშაობის ეფექტიანობის მნიშვნელოვან გადიდებას.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, ქიმიური მრეწველობის სამინისტროს, სამშენებლო და სხვა სამინისტროებს 1973-1975 წლებში განახორციელონ დამატებითი ღონისძიებანი მინერალური სასუქების წარმოების, ხაწარმოთა მშენებლობისა და რეკონსტრუქციის დასაჩქარებლად, რათა ხუთწლედის ბოლო წელს უზრუნველყონ 90 მილიონი ტონა მინერალური სასუქების წარმოება. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ სახალხო მეურნეობაში ტრანსპორტირებისა და შენახვის დროს იკარგება დიდძალი სასუქები და დაავალა სსრ კავშირის სახმომარაგების, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, ხოფლის მეურნეობის სამინისტროს, „საკხოფლტექნიკას“. ქიმიური მრეწველობის, სახოფლო-სამეურნეო მანქანების, გზათა სამინისტროებს, სამოქალაქო ავიაციის სამინისტროს, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებსა და მინისტრთა საბჭოებს, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებს განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი მინერალური სასუქების დანაკარგის ლიკვიდაციისა და მათი გამოყენების ეფექტიანობის გადიდებისათვის. სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტს დაევალა, რომ სისტემატური კონტროლი გაუწიოს სასუქების ტრანსპორტირებისა და შენახვის ორგანიზაციას.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ინიციატივა გაძლიერის საშეფო მუშაობა მინერალური სასუქების მრეწველობის მშენებლობებზე.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა გამოთქვა მტკიცე რწმენა, რომ სამინისტროები და უწყებები, ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, ქიმიურ საწარმოთა და მშენებლობათა მუშაკები ძალ-ღონეს და ენერგიას არ დაიშურებენ, რათა წარმატებით განახორციელონ მინერალური სასუქებისა და მათი ნედლეულის საწარმოების, ქიმიური და ნავთობის მანქანათმშენებლობის ქარხნების მშენებლობისა და სიმძლავრეთა გაფართოების პროგრამა, და ამით ღირსეულ წვლილს შეიტანენ ქვეყნის ხოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საქმეში.

შეხვედრა სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

□ **1973 წლის 8 მარტს** სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა შეხვედრა ბელგიის კომუნისტური პარტიის დელეგაციასთან, რომელშიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მხრივ მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ბ. ნ. პონომარიოვი**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სკკპ მოსკოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ვ. ი. კონოტოპი**, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების გამგის მოადგილე **ვ. ვ. ზაგლადინი**; ბელგიის კომუნისტური პარტიის მხრივ — ბელგიის კომპარტიის თავმჯდომარე **ლ. ვან გეიტი**, ბელჯიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი **ი. დებროუვერი**, ბელგიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, „დრაპო რუჟის“ დირექტორი **რ. დიუსარი**. შეხვედრის დროს დელეგაციებმა ერთმანეთს გაუზიარეს ინფორმაცია თავიანთი პარტიების საქმიანობის შესახებ. დელეგაციებმა გამოთქვეს დიდი კმაყოფილება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ბელგიის კომუნისტური პარტიის ტრადიციული მეგობრობისა და ამხანაგური თანამშრომლობის გამო და ამასთან დაკავშირებით აღნიშნეს, რომ ერთობლივი კომუნიკე მათი დელეგაციების 1972 წლის 16-18 თებერვლის შეხვედრის შესახებ ყველაჯერ ძალაშია.

ორი პარტიის დელეგაციათა მოლაპარაკება მიმდინარეობდა ძმური მეგობრობისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში.

□ **სკკპ** ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **ა. პ. კირილენკომ** 9 მარტს მიიღო ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი **ნგუენ ზუი ჩინი**.

საუბრის დროს გაიმართა აზრთა გაზიარება ვიეტნამში ომის შეწყვეტისა და მშვიდობის აღდგენის პირობებში საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის ძმური ურთიერთობის შემდგომი განვითარების საკითხებზე. ამასთან საბჭოთა და ვიეტნამის მხარეებმა განაცხადეს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ყოველი ღონისძიებით შეუწყონ ხელი საბჭოთა კავშირისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ძმური მეგობრობისა და მჭიდრო თანამშრომლობის განვითარებას.

მხარეებმა კმაყოფილება გამოთქვეს იმის გამო, რომ პარიზში წარმატებით დამთავრდა საერთაშორისო კონფერენცია ვიეტნამის შესახებ და ნაზგასმით აღნიშნეს, რომ განუხრელად უნდა შესრულდეს შეთანხმება ვიეტნამში ომის შეწყვეტისა და მშვიდობის აღდგენის შესახებ ვიეტნამელი ხალხისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის, მთელი მსოფლიოს მშვიდობის საკეთილდღეოდ.

შეხვედრაში, რომელმაც ძმური მეგობრობისა და გულითადობის ვითარებაში ჩაიარა, მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის პირველი მოადგილე **ო. ბ. რახმანინი**, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე **ნ. ბ. ფირიუბინი**, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში **ვო თხუკ დონგი**.

გაზაფხული გვაჩქარებს

□

თელავის მინდვრებში

თელავი. (ხაკ. კორ.). კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ველ-მინდვრებში გაჩაღდა ბოსტნეული კულტურების, საკვები ჭარხლისა და მზესუზნიოს თესვა. სოფელ გულგულის კოლმეურნეობამ გეგმით გათვალისწინებული 12 ჰექტარიდან ბოსტნეული უკვე დათესა 10 ჰექტარზე. ბოსტნეულის თესვა დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს აგრეთვე კინდოლოს, აკურის, კურდღლაურის, ვანთის, ხუშეტის, ვარდისუბნის კოლმეურნეობებში.

ყვალთოს კოლმეურნეობამ მზესუზნიზი დათესა 18 ჰექტარზე, ყარაჯალის საბჭოთა მეურნეობამ — 10 ჰექტარზე.

ხლაკვენ ვაზს, ხეხილს

ბარდაბანი („კომუნისტის“ კორ.). საგაზაფხულო სამუშაოები ჩქარი ტემპით მიმდინარეობს დიღმის საბჭოთა მეურნეობაში. სოციალისტური შეჯიბრების ვალდებულებით მეურნეობას მრავალწლიანი კულტურების თესვა 45 ჰექტარზე უნდა დაემთავრებინა 10 მარტამდე. ფაქტიურად პირობა 4 დღით ადრე შეასრულა.

გეგმით გათვალისწინებული 35 ჰექტარიდან უკვე დაითესა 25 ჰექტარი ხახვი. ამ საქმეში გამოყენებულია მექანიზაცია.

სიმინდისათვის ნიადაგი მზად აქვთ. კონდიციური თესლით უზრუნველყოფილნი არიან. მიმდინარეობს ხეხილისა და ვაზის სხვლა.

მცხეთელთა პირველი შაბათობა

გუშინ ადრე დილით ახმაურდა ჭვრის მიდამოები, ახალი ტყე-პარკის გაშენებაზე, რომელიც 50 ჰექტარზე გაიშლება, მოვიდა მცხეთის რაიონის ათასზე მეტი მშრომელი, თვითეულ მათგანს ხურდა თავისი სტრიქონები ჩაეწერა იმ დიდებულ მწვანე ზოლში, რომელმაც უნდა დაამშვენოს დედაქალაქის ირგვლივ მდებარე მიდამოები.

მცხეთელებს ტყის გაშენების კარგი ტრადიციები აქვთ. შარშან შემოდგომაზე რაიონის მშრომელებმა 25 ჰექტარზე გააშენეს ახალი ტყე-პარკი. როგორც პარტიის მცხეთის რაიკომის პირველმა მდივანმა გ. კავთიაშვილმა და სატყეო მეურნეობის დირექტორმა გ. კეკელიძემ გვითხრეს, გამწვანების სამუშაოები განსაკუთრებით გაფართოვდება მომდინარე წელს. გაზაფხულსა და შემოდგომაზე მოლიანად დამთავრდება იმ ტყე-პარკის გაშენება, რომლის სამუშაოები გუშინ დაიწყო, შაბათობა გაგრძელდება დღეხაც და მომავალ შაბათ-კვირას, დაირგვება 30 სხვადასხვა ჯიშის 31 ათასი მცენარე, ახალი პარკი დაფარავს მლაშე ტბის გარშემო მდებარე ხრიოკ ადგილებს, მომავალ წელს ტბას გააცოცხლებს მტკვრიდან ამოქაჩული წყალი, მოეწყობა ნარგავების რწყვა.

ეს სამუშაოები უნდა შესრულებულიყო 1974-1975 წლებში, მაგრამ რაიონის მშრომელებმა გადაწყვიტეს საქმით გამოეხმაურონ ხაშვილიშვილო საქმეს — თბილისის ირგვლივ მწვანე ხარტყელის ქარგვას და რაც შეიძლება მეტი მცენარე დარგონ როგორც ჭვრის მიდამოებში, ისე რაიონის სხვა უტყეო ადგილებში.

...დიდებული სურათი გადაიშალა ჩვენს თვალწინ, როცა ჭვრის მონასტრის სიმაღლიდან მლაშე ტბის გარშემო მდებარე ხრიოკებს გავხედეთ. ასობით ქალი და კაცი ხალისით ებრძოდა მიწის ხიჭიუტეს, ითხრებოდა ღრმა და ფართო ორმოები, ზოგიერთები ეზიდებოდნენ ნერგებს და რგავდნენ მათთვის განკუთვნილ ახალ ადგილას. გაივლის წლები, და მტკვრის მახლობელ გორაკებზე კვლავ იშრიალებს ახალგაზრდა ტყე. ბოლო მოეღება ისტორიის უსამართლობას — მტრისაგან გაჩენილი და იავარქმნილი ტყე კვლავ გაგვახარებს თავისი სილამაზით, სიგრილით, წყაროებით.

ხალხიანი და ნაყოფიერია კოლექტიური შრომა. ამას მოწმობს თუნდაც ის, რომ შაბათობაზე გამოსულთა დიდი უმრავლესობა მუშაობდა განსაკუთრებული ხალისით, ბევრმა 8-10 ორმო ამოთხარა. ჩვენწერეთ ზოგიერთის გვარები. ესენი არიან ლ. მაჩხანელი, ხ. მამულოვი, თ. ბოკინაძე, ვ. ჭავახიშვილი, ა. თათარაშვილი, გ. გიუდაშვილი, ნ. მაჩხანელი, გ. ბერიძე... ყველაზე უკეთესად იშრომეს ქარხანა „ხაქენერგორემონტის“, ზამეხის, „პრომსვიაზის“, ხასურსათო კომბინატის, კერამიკის ქარხნის, „ნავთობგადამქაჩი“ ხადგურის, რაიხავაგდმყოფოს, ხატრაიოტაუე კომბინატისა და სხვა საწარმო-დაწესებულებათა კოლექტივებმა.

ა. თომაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

* * *

სურათზე: გუშინ ჭვრეს მიდამოებში.

ხ. კილაძის ფოტო.

კომუნიზმისათვის მებრძოლთა იდეური დროშა



125 წელი გავიდა იმ დღიდან, როცა გამოქვეყნდა მეცნიერული კომუნიზმის პირველი საპროგრამო დოკუმენტი—კ. მარქსისა და ფ. ენგელსის „კომუნისტური პარტიის „მანიფესტი“. „მანიფესტი“, რომელიც პროლეტარიატის დიდმა მასწავლებლებმა დაწერეს „კომუნისტთა კავშირის“ დავალებით, როგორც საერთაშორისო მუშათა კლასის ამ პირველი რევოლუციური ორგანიზაციის პროგრამა, სამუდამოდ შევიდა ისტორიაში, როგორც მარქსიზმის უკვდავი ქმნილება. როგორც ვ. ი. ლენინმა აღნიშნა, ეს ნაწარმოები მთელ მსოფლიოში გავრცელდა და დღემდე სწორია ყველა მისი ძირითადი დებულება, ცოცხალი და საჭირბოროტოა, თითქოს გუშინ ყოს დაწერილი.

საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ისტორიის ღირსშესანიშნავ თარიღს შეეძენა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის, საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის, უმაღლესი პარტიული სკოლისა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ჰუმანიტარული ინსტიტუტის გაერთიანებული სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც 9 მარტს გაიმართა მოსკოვის კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, აკადემიკოსი ბ. ნ. პონომარიოვი, თვალსაჩინო მეცნიერები, პარტიის ვეტერანები, პარტიული მუშაკები, საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლები. კონფერენციას ესწრებიან ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, აკადემიკოსი ტოდორ პავლოვი, სოციალისტური ქვეყნების მეცნიერული ორგანიზაციების ორგანოების ნაწილი, ბანუხერელად და ერთგულად ემსახურება სოციალიზმისათვის, ეროვნული თავისუფლებისათვის, დემოკრატიისა და მშვიდობისათვის ბრძოლის საქმეს.

ჩვენი რევოლუციური ისტორიის ყველა სახელოვანი თარიღი დაკავშირებულია ამ იდეების გამარჯვებასთან, რომლებიც პირველად „კომუნისტურ მანიფესტში“ გამოითქვა. ყველა ჩვენგანს ჯერ კიდევ ცოცხლად ახსოვს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავი, რომელიც ასეთი დიდი ზეიმით და ფართოდ აღინიშნა მთელ მსოფლიოში, მაგრამ ეს ხომ სწორედ ის რევოლუცია იყო, რომლის გარდუვალობა პირველად „კომუნისტურმა მანიფესტმა“ გამოაცხადა. მთელმა მსოფლიომ ფართოდ აღნიშნა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავი, რომლის სახელთან და დიდ გმირულ ცხოვრებასთან დაკავშირებულია მთავარი, რაც მუშათა კლასმა, მშრომელთა მასებმა გააკეთეს „კომუნისტური მანიფესტის“ იდეების განხორციელებისათვის.

სულ ცოტა ხნის წინათ ჩვენს საზღვარგარეთელ მეგობრებთან ერთად საბჭოთა ქვეყნის ხალხები ზეიმობდნენ სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს. ზეიმის დღეებში შეჯამდა მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს შექმნისა და განმტკიცების და სსრ კავშირში ეროვნული საკითხის გადაჭრის დიდებული შედეგები, რასაც ჰეშმარიტად მსოფლიო მნიშვნელობა აქვს. ეროვნული საკითხის გადაჭრაც მიღწეულია ამ იდეების საფუძველზე, რომლებსაც „მანიფესტის“ შეიცავს, ჩვენი პარტიის მიერ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების თანმიმდევრული გამოყენების ბაზაზე.

ახლა ყველა საბჭოთა ადამიანს — მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციის წარმომადგენლებს თავიანთი ყოველდღიური შრომით შეაქვთ წვილი სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახულ ამოცანათა გადაწყვეტაში. ყრილობის მიერ დასახული გრანდიოზული პროგრამის განხორციელება დიდმნიშვნელოვანი მონაპოვარი იქნება კომუნიზმის — სწორედ იმ საზოგადოების აშენების გზაზე, რომლის კონტურები მოხაზული იყო „კომუნისტურ მანიფესტში“.

დღეს, თქვა შემდეგ ბ. ნ. პონომარიოვმა, რეალური სოციალიზმი „მანიფესტის“ პროგრამის მთავარი, ყველაზე სრული განსახიერებაა. მისი დამყარება და განვითარება ყველაზე დამაჯერებელი პრაქტიკული დადასტურებაა იმისა, რომ სწორია მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება.

„კომუნისტური პარტია, რომელიც ამორეალებს თავისი XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებს, ბრძოლას ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის, თანმიმდევრულად უხამებს ზრუნვას სულიერი სიკეთისა და კულტურულ ფასეულობათა გამრავლებისათვის. მარქსისტული იდეურობისა და მაღალი მორალის დამკვიდრებას. ამით თვალსაჩინოდ ვლინდება სოციალისტური წყობილების ჰუმანისტური არსი.

„კომუნისტური მშენებლობა საბჭოთა კავშირში მთელი მსოფლიო რევოლუციური პროცესის განუყოფელი ნაწილია. სოციალისტური ქვეყნების რეალური წარმატებანი საერთაშორისო მუშათა კლასის მნიშვნელობისა და გავლენის გაძლიერების დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია. ძლიერდება კაპიტალისტურ სახელმწიფოთა პროლეტარიატის პოლიტიკური როლი, მაღლდება მისი ორგანიზებულობისა და კლასობრივი შეგნების დონე, სულ უფრო მდიდრდება მისი რევოლუციური ბრძოლა, ძლიერდება მოცდილება, ძლიერდება გავლენა სხვა საზოგადოებრივ ფენებზე, მოკავშირეებზე ანტიმონოპოლისტურ ბრძოლაში. სოციალური და ეროვნული პროგრესისათვის ბრძოლებში სულ უფრო აქტიური ძალა ხდება გათავისუფლებული ქვეყნების ახალგაზრდა მუშათა კლასი.

მუშათა კლასის ზრდის კვალობაზე ფართოვდება კომუნისტური მოძრაობის „სოციალური ბაზა. ახლა მსოფლიოში მოქმედებს და იბრძვის 89 კომუნისტური პარტია.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, ხაზგასმით აღინიშნა ბ. ნ. პონომარიოვმა, მოძმე პარტიებთან თანამშრომლობით აქტიურად მოქმედებს ანტიიმპერიალისტური ბრძოლის ყველა მიმართულებით, რომლებიც განსაზღვრა 1969 წლის თათბირმა. ჩვენი პარტიის საქმიანობა ამ დარგში ვითარდება სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებების, ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში ჩამოყალიბებული და ყრილობის მიერ მოწონებული სამშვიდობო პროგრამის შესრულების ნაწილი. სამშვიდობო პროგრამა შეესაბამება მთელი კაცობრიობის ძირიან ინტერესებს და ამასთან ერთად პროლეტარიატის, კომუნისტური მოძრაობის ინტერესებს. [illegible] ფენტორად — ყველა ამ საქმეში საბჭოთა კავშირმა შეიტანა დიდი წვლილი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, სხვა მოძმე პარტიებს კარგად ესმით, თუ რა რევოლუციური პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს მათთვის პროლეტარიულ ინტერნაციონალიზმს და ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა ეფექტიანად უფრო შეაკავშირონ კომუნისტური მოძრაობა, გაზარდონ მისი მარქსისტულ-ლენინური ერთიანობა.

მოხსენება „მეცნიერული კომუნიზმის მანიფესტი“ გაიკეთა გაზეთ „პრავდას“ მთავარი რედაქტორის პირველმა მოადგილემ, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ვ. გ. აფანასიევმა.

მოხსენება „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“ და თანამედროვე საერთაშორისო მუშათა მოძრაობა“ გააკეთა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის განყოფილების გამგემ, პროფესორმა ჯ. ი. სობოლევმა.

12 მარტს კონფერენციის მუშაობა სექციებში გაგრძელდება.

(სკკპ ცსტი).

სკოლაო კარტიული აქტივის კრებებზე

იდეოლოგიური მუშაობა — ახალ მოთხოვნათა დონეზე!

ს ო ხ უ მ ი. („კომუნისტის“ სკკ. კორ.). საქართველოს კომუნისტური პარტიის აფხაზეთის საოლქო ორგანიზაციის აქტივის კრებამ განიხილა აფხაზეთის პარტიული ორგანიზაციების ამოცანები სსრ კავშირის 50 წლისთავის შესახებ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენების მიხედვით იდეურ-პოლიტიკური მუშაობის შემდგომი გაძლიერებისა და მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის საქმეში.

აქტივის კრებამ მიიღო სათანადო ღონისძიება.

ი. გ ო ბ ე ჩ ი ა.

ბ ა თ უ მ ი. („კომუნისტის“ სკკ. კორ.). აჭარის საოლქო და ბათუმის საქალაქო პარტიული ორგანიზაციების აქტივის კრებაზე მოხსენება „აჭარის პარტიული ორგანიზაციების ამოცანები იდეურ-პოლიტიკური მუშაობის შემდგომი გაძლიერებისა და მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის საქმეში „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ფორმირებათა წლისთავის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენების შესაბამისად“ გააკეთა საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. თხილაიშვილმა.

კრებაზე ითქვა, რომ ამჟამად, ხუთწლედის ამ გადამწყვეტ წელს, კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება პარტიული ორგანიზაციების მთელ იდეოლოგიურ მუშაობას.

ამხ. ლ. ი ბრეჟნევის მოხსენება, საზეიმო სხდომის სხვა მასალები სიფრთხილეანად ისწავლება პარტიული და კომკავშირული პოლიტგანათლების ქსელში, კადრების ეკონომიური განათლების სისტემაში. პროპაგანდისტები, ლექტორები, აგიტატორები და პოლიტინფორმატორები ამ თემაზე საუბრებს უკავშირებენ სადღეისო ამოცანებს.

ავტონომიური რესპუბლიკის იდეურ-პოლიტიკურ საქმიანობაში, ადამიანთა ინტერნაციონალური აღზრდაში ჯერ კიდევ ბევრი ხარვეზი და ნაკლია, რომელთა გამოსწორებისათვის საჭიროა ღონისძიებათა შესახებ ლაპარაკობდნენ აქტივის კრების მონაწილეები.

მ. გ ო რ გ ი ლ ა ძ ე.

ვრცელი ფურცლებიდან

ერთი თემა — ორი გაზეთი

„ლენინის გზით“ (გურჯაანი), „კოლექტიური შრომა“ (ხულო)

რაიონული გაზეთი ლ. ბარტული! ამჯერად ამ თემამ გვიკარნახა გვესაუბრა ორი გაზეთის შესახებ.

ხუთი თვე გავიდა, რაც დაიწყო მეცადინეობა პარტიული განათლების ქსელში. გურჯაანის რაიონული გაზეთი „ლენინის გზით“ (რედაქტორი ბ. გაბრუაშვილი) თავის ფურცლებზე აქვეყნებს წერილებს, რომლებშიც აისახება კომუნისტთა პოლიტიკური სწავლებისა და მშრომელთა ეკონომიური განათლების მდგომარეობა. გაზეთი ამუქებს მოწინავე პროპაგანდისტების საქმიანობას, ავრცელებს მათს გამოცდილებას.

მეცადინეობის მიმდინარეობის პროცესი კარგად აისახა გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნებულ წერილებში: „ცოდნის წყურვილით“, „წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის“, „კონკრეტულ მაგალითებზე“, „მსმენელთა ამოცანები“, „პირველი მეცადინეობის შედეგები“, „ეს მართლაც სწავლებაა“, „სწორი გეზი“, „პროპაგანდისტი და მსმენელები“.

„უპასუხისმგებლობა — მავნე ხელი“ — ამ მწვავე კრიტიკულ წერილში ლაპარაკია, რომ მუკუზნის ბაბჰოთა მეურნეობაში პროპაგანდისტი ნ. ეამურაშვილი მეცადინეობას ატარებდა დაბალ დონეზე, ორჯერ კი მეცადინეობა ჩაშალა. ასევე სუსტად მუშაობდნენ პროპაგანდისტები ს. არჩვანიშვილი და თ. ცანდაძე. მეცადინეობას ხშირად აცდენდნენ მსმენელები რ. ყაჭიური, ჟ. ბაღაშვილი, გ. და გ. ჩიტაშვილები, ნ. მაზანაშვილი, ჟ. ნიკოლაიშვილი, შ. ხაჯიშვილი, რ. ბერიაშვილი.

ასე იყო შარშან. მაგრამ ეს მდგომარეობა, სამწუხაროდ, ნაწილობრივ წელსაც გრძელდება.

გაზეთის კომპლექტების გაცნობამ დაგვანახვა, რომ პარტიული სწავლებისა და ეკონომიური განათლების საკითხების გაშუქებისას ადგილი აქვს კამპანიურობას, ე. წ. „შესვენებას“, რაც არაფრით არ არის გამართლებული.

პარტიული და ეკონომიური განათლების, საერთოდ მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლების საკითხების გაშუქება გაზეთის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა უნდა გახდეს. ამ მიზნით გაზეთმა თავის გარშემო უნდა შემოიკრიბოს პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების მდივნები, მსმენელები, კონსულტანტები, ლექტორები... გაზეთში მტკიცედ უნდა დამკვიდრდეს მუდმივი რუბრიკები: „პროპაგანდისტის ტრიბუნა“, „ლექტორი და აუდიტორია“, „პროპაგანდისტი მეცადინეობისათვის ემზადება“, „ასე ვმუშაობ წიგნზე“.

ხ უ ლ ო ს რაიონში პარტიული განათლების ქსელში შექმნილია 92 სკოლა, თეორიული სემინარი და საკონსულტაციო ჯგუფი, რომლებშიც ჩაბმულია 2.000-მდე მსმენელი. მუშაობს 149 პროპაგანდისტი.

ეს მონაცემები გვქონდა მხედველობაში, როცა ხულოს რაიონული გაზეთის „კოლექტიურ შრომას“ (რედაქტორი ი. ჯორბენაძე) ეფურცლავდით. უშინაარს ყოველისა, თვალში გვეცა პარტიული სწავლებისა და მშრომელთა ეკონომიური განათლების საკითხების გაშუქებისადმი ფორმალური, ზერელე და არასწორი დამოკიდებულება. სასწავლო წლის დაწყებიდან პოლიტიკურ და ეკონომიურ განათლების საკითხებზე გაზეთმა გამოაქვეყნა რამდენიმე წერილი, მაგრამ მათი უმრავლესობა დაწერილია ტრაფარეტულად, ვერ გადმოსცემს მეცადინეობის იდეურ მხარეს, ღირსებებს თუ ნაკლოვანებებს, პროპაგანდისტისა და მსმენელთა მომზადების დონეს.

გაზეთში ვერ ეხვდებით პირველადი პარტორგანიზაციების მდივნების, პროპაგანდისტების წერილებს იმის შესახებ, თუ როგორ აწყობენ მეცადინეობას, როგორ უკავშირებენ შესასწავლ თემებს პრაქტიკულ ცხოვრებას, მშრომელთა კოლექტივების წინაშე მდგომი ამოცანების გადაწყვეტას;

როცა პროპაგანდისტებზე წერენ, ზოგჯერ ავტორები სიტყვასიტყვით იმეორებენ ერთმანეთს, ერთი პროპაგანდისტის ოვისებებს მეორეს მიაწერენ. ეს კი სინამდვილეს ამახინჯებს. 1972 წლის 10 ოქტომბრის ნომერში დაბეჭდა ი. ხოხრეკანიძის წერილი „საუბრობენ დიდ ცხოვრებაზე“, რომელიც ეხება სოფელ ღურტის საკოლმეურნეო პირველად პარტორგანიზაციასთან არსებული ეკონომიური ცოდნის საფუძვლების სკოლის პროპაგანდისტ ა. ხოხრეკანიძის მუშაობას.

1973 წლის 3 თებერვალს „კოლექტიური შრომის“ ფურცლებზე დაბეჭდა თ. აბაშიძის წერილი „აზრის სინათლე, დამაჯერებლობა“, რომელშიც შექებულია პროპაგანდისტი ზ. გობაძე (სოფელი დიდჭარა). და, აი კითხულობთ ამ წერილებს და თითქოს ერთმანეთისაგან გადაუწერიათო, ისე ჰგავს ერთი წერილი მეორეს.

დასანანია, რომ გაზეთი „კოლექტიური შრომა“ შემთხვევიდან შემთხვევამდე აშუქებს რევოლუციური თეორიის დაუფლებისა და მშრომელთა ეკონომიური განათლების საკითხებს. შეუწყნარებლად მივიწყებულია ამ საქმეში არსებული ნაკლოვანებების პრინციპული კრიტიკა.

როგორც ჩანს, პარტიის გურჯაანისა და ხულოს რაიონული კომიტეტები ჯერ კიდევ საქმიანად, ყოველდღიურად ვერ ხელმძღვანელობენ თავიანთ გაზეთებს.

ს. ყ უ რ ა შ ვ ი ლ ი.

ეროვნული დღე



სამეცნიერო კონფერენცია მოსკოვში

ტოკიო. 10 მარტი. (საკდესი). იმასთან დაკავშირებით, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო იაპონიის ელჩი სსრ კავშირში პ. ნიიძეკი, გაზეთმა „ჯაპან ტაიმსმა“ გამოაქვეყნა სარედაქციო სტატია სათაურით: „იაპონია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის განმტკიცებისათვის“.

სტატიაში აღნიშნულია, რომ პრემიერ-მინისტრის ტანაკას წერილში, რომელიც იაპონიის ელჩმა გადასცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევს, გამოთქმულია იმედი, რომ მალე დაიდება საზავო ხელშეკრულება და განმტკიცდება ეკონომიური თანამშრომლობა. „უნდა მივეცალოთ ამ ინიციატივას, — აღნიშნავს გაზეთი. — იაპონიისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობა ნორმალიზებულია 1956 წელს. მიგრამ საზავო ხელშეკრულება ჯერ არ არის დადებული. ახლა, უთუოდ, დადგა დრო, რომ უფრო მჭიდრო ურთიერთობა დამყარდეს ორ ქვეყანას შორის“.

„ჯაპან ტაიმსი“ შემდეგ ხაზს უსვამს, რომ „უკანასკნელმა ამბებმა საესებითლო შთაბეჭდილება მოახდინეს და იაპონიასა და საბჭოთა კავშირს შორის უფრო გულითადი ურთიერთობის დამყარების იმედს გვრისხავენ“. გაზეთი აღნიშნავს ლ. ი. ბრეჟნევის მოწოდებას, მოკავშირეებზე ანტიმონოპოლისტურ ბრძოლაში. სოციალური და ეროვნული პროგრესისათვის ბრძოლებში სულ უფრო აქტიური ძალა ხდება გათავისუფლებული ქვეყნების ახალგაზრდა მუშათა კლასი.

მუშათა კლასის ზრდის კვალობაზე ფართოვდება კომუნისტური მოძრაობის „სოციალური ბაზა. ახლა მსოფლიოში მოქმედებს და იბრძვის 89 კომუნისტური პარტია.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, ხაზგასმით აღინიშნა ბ. ნ. პონომარიოვმა, მოძმე პარტიებთან თანამშრომლობით აქტიურად მოქმედებს ანტიიმპერიალისტური ბრძოლის ყველა მიმართულებით, რომლებიც განსაზღვრა 1969 წლის თათბირმა. ჩვენი პარტიის საქმიანობა ამ დარგში ვითარდება სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებების, ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში ჩამოყალიბებული და ყრილობის მიერ მოწონებული სამშვიდობო პროგრამის შესრულების ნაწილი. სამშვიდობო პროგრამა შეესაბამება მთელი კაცობრიობის ძირიან ინტერესებს, ეროვნულ თავისუფლებისათვის, დემოკრატიისა და მშვიდობისათვის ბრძოლის საქმეს.

ჩვენი რევოლუციური ისტორიის ყველა სახელოვანი თარიღი დაკავშირებულია ამ იდეების გამარჯვებასთან, რომლებიც პირველად „კომუნისტურ მანიფესტში“ გამოითქვა. ყველა ჩვენგანს ჯერ კიდევ ცოცხლად ახსოვს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავი, რომელიც ასეთი დიდი ზეიმით და ფართოდ აღინიშნა მთელ მსოფლიოში, მაგრამ ეს ხომ სწორედ ის რევოლუცია იყო, რომლის გარდუვალობა პირველად „კომუნისტურმა მანიფესტმა“ გამოაცხადა. მთელმა მსოფლიომ ფართოდ აღნიშნა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავი, რომლის სახელთან და დიდ გმირულ ცხოვრებასთან დაკავშირებულია მთავარი, რაც მუშათა კლასმა, მშრომელთა მასებმა გააკეთეს „კომუნისტური მანიფესტის“ იდეების განხორციელებისათვის.

სულ ცოტა ხნის წინათ ჩვენს საზღვარგარეთელ მეგობრებთან ერთად საბჭოთა ქვეყნის ხალხები ზეიმობდნენ სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს. ზეიმის დღეებში შეჯამდა მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს შექმნისა და განმტკიცების და სსრ კავშირში ეროვნული საკითხის გადაჭრის დიდებული შედეგები, რასაც ჰეშმარიტად მსოფლიო მნიშვნელობა აქვს. ეროვნული საკითხის გადაჭრაც მიღწეულია ამ იდეების საფუძველზე, რომლებსაც „მანიფესტის“ შეიცავს, ჩვენი პარტიის მიერ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების თანმიმდევრული გამოყენების ბაზაზე.

ახლა ყველა საბჭოთა ადამიანს — მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციის წარმომადგენლებს თავიანთი ყოველდღიური შრომით შეაქვთ წვილი სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახულ ამოცანათა გადაწყვეტაში. ყრილობის მიერ დასახული გრანდიოზული პროგრამის განხორციელება დიდმნიშვნელოვანი მონაპოვარი იქნება კომუნიზმის — სწორედ იმ საზოგადოების აშენების გზაზე, რომლის კონტურები მოხაზული იყო „კომუნისტურ მანიფესტში“.

მხოლოდ მოლაპარაკების გზით

იაპონური პრესა აფუძვებს ლ. ი. ბრეჟნევის ხაუბარს იაპონიის მოსკოველ ელჩთან

ტოკიო. 10 მარტი. (საკდესი). „ჯაპან ტაიმსი“ „ბიზნეს ტაიმ“ „ასაჰი შინბუნ“ „ტოკიო შინბუნ“ „ტოკიო ტაიმ“ „ტოკიო ტუდეი“ „ტოკიო ტუდეი“ „ტოკიო ტუდეი

მოთხრობა

ეს ალბ

ლადო ავალიანი

ს ადგურის მოედანს კახეთის მატარებლით ჩამოსული ხალხი მოეფინა. არ ვიცი რატომ, მაგრამ ამ სიჭრელეში აქა-იქ თუშურქუდიანი პირმოგვალი მამაკაცები ხაოცრად გამორჩეოდნენ და ყურადღებასაც ხვეშეზე მეტად ისინი იქცევდნენ; ამ ჯგუფ, ხარისთვალება მამაკაცებს ისე მსუბუქად მოეჭონდათ ხურჯინები და ტილოთი თავგადაკრული სავხე კალათები, თითქოს ცარიელიაო, თუმცა სიმძიმისაგან კალათებს სულ ჭრაჭუნი გაუდიოდათ. ერთ თუშურქუდიან, ულვაშშეგაღარავებულ გლეხს ზურგზე ოსტატურად გადაკიდა გატენილი ხურჯინი. ხურჯინის უკანა თვალიდან ბატკანს ამოეყო თავი. პატარაობაში ხომ თითქოს ყველაფერი ლამაზია, იხვის ჭუჭულიც კი, მაგრამ ეს ბატკანი მაინც სულ სხვა იყო. სწორედ ამაზე შეგეძლო გეთქვა, ღვთის გაჩენილიაო და აკი იმიტომაც გააყოლა თვალი მილიციელმა. გააყოლა და სწორედ იმ მიმართულებით, საითაც გლეხი ეშურებოდა, დაფერდებული გაზონის ბალაზზე წამოწოლილი კაცი შენიშნა მილიციელმა, ამხანაგს ოდაღა უთხრა და იქით გაეშურა. მძინარეს თავს დაადგა, სასტვენი ჩოიმარჯვა, არხეინად წამოწოლილ უცნობს ჩაეთვლიმა. წელში ოდნავ მოხრილს, მარცხენა ხელი ლოყის ქვეშ ამოედო, მარჯვენა კი შარვლის ნაკერის გასწვრივ, ბარძაყზე ესვენა. მხმა გარეგნობამ მილიციელი ცოტა შეაყოვნა. ეს კაცი რაღაც არ ჰგავდა ,,უცხოს და გადმოხვეწილს; თითქოს ეცნაური ,,ადეც. დახარა, სახეზე უფრო დაკვირვებით დაიაქვრდა. მილიციელი წელში გასწორდა, მაგრამ ახლაც იმის ფიქრში იყო, სად უნდა ენახა იგი.

მილიციელს სახტვენით მძინარის გამოფხიზლება არ დასჭირვებია. თვლემამორეული უცხო ანაზდად შეიმეშვნა, ,,ეუთუთოები ანსამხმა და, თავს წამომდგარი კაცის სილუეტი რომ ეცა თვალში, ვერ იცნო, დინჯად წამოიწია, მაგრამ არ წამომდგარა. მჯდომარე, მუხლისთავებს ბსხვილი, მკვრივი თითებით მოეჭიდა და მილიციელს ირიბად ახედა.

— მეც არ გამიკვირდა, სულთამხუთავსავით თავზე ვინ წამომდგომიაო-მეთქი... კაცო, მაშ ჩამძინებიხარ? — ახლა მისი ყურადღებაც მიექცია მოედანზე მოფუსფუსე ხალხმა, — რა ხალხია? რომელი მატარებელი ჩამოდგა, თუ იცი?

— კახეთისა.

— ჰო, მე ხაშურიხა ან ბორჯომიხა მინდა... ის სიზმრის მოთავება მაინც გეცლია, შე კაი კაცო!..

— უკეთეს სიზმარს ნახავ უბნის სამორეგეოს კაბერაში! — უცხოს გაკვირვებულ შემოხედვას მილიციელმა ჭურადღება არ მიაქცია, — ე ბალახი რო გემზე მოგითელია და მოგიჯეგავს, იცოდე, მამაშენის დათესილიც რომ ყოფილიყო, ჯარიმა არ აგცდა!

უცხომ მიამტანად იკითხა:

— რათა?.. მეც ვიცი, ირმის ჯოგი დაგიდის და მოთელილ ბალახს პირს აღარ დააკარებს.

— ირმისა? — გაიცინა მილიციელმა, — კაცი დაბერებულხარ და მაგ ბალახის ფასი კი არ იცი! — მილიციელმა ამ უცხოში, გარეგნობის მიხედვით გლეხი შეიცნო და სიცადა ოავისი შენიშვნით გული ეტკინა მისთვის.

ცოტა შუბლშეკრულ და განაწყენებულ უცხოს მილიციელის ნათქვამზე შუბლიც ეაეხსნა და კიდევეც გაეცინა. მილიციელმა კი გულსატკენ შენიშვნას მუქარაც მიაყოლა.

— აი, უბანში რომ მიგაბრძანებ, მაშინ გაიგებ მაგ ბალახის ფასს.

უცხო ხელისგულებს დაეხეინა, წამოდგა, გაზონიდან ტროტუარზე გადმოვიდა, მერე ხელისგულები გაიბერტყა და ბეჯითად თქვა:

— თუ კაცი ხარ, ნუ მიწყრები, ბალღი ხომ არა ვარ, შემეშინდეს... შენ დაბადებულიც არ იქნებოდი, რომ ემაგ ბალახის ფასიც ვიცოდი და... ჯარიმე. — ხალათი გაისწორა, ძილი განზე მოქცეული თუმური ქუდიც თავზე მჭიდროდ ჩამოიცვა, მერე, რაღაც მონანიების თუ დანაშაულის შემამსუბუქებელი კილოთი შენიშნა:

— რა იყო, წამოვწექი... ბალახია... ბომენატრა!

— შენ რა, სოფლიდან ახალი ჩამოსული ხარ?..

— ახალი ჩამოსული რათ ვიქნები, ბარე ოთხი წელიწადია ამ მტვრიან ასფალტს დავდაქერი, მაგრამ რა, ოთხი წლის შემდეგაც რომ მოგენატრის ეს ზურგუსტი, გასაკვირია? ის კი არა და...

— მაგისთანა ზღაპრებისათვის არა მცალია. ჯარიმას აქ გადაიხდი თუ უბანში?

უცხომ ერთი ისე ასედა მილიციელს, ვერ დარწმუნებულიყო, ემუქრებოდა, თუ ეხუმრებოდა.

— მაინც რაზე მატყობ რომ დასაბრიყვებელი პირი მიჩანდეს? ჯარიმის გადამხდელი არც აქ ვარ, არც უბანში. რათა, რისთვის, თორემ კი...

— მაშ, წადიდეთ და, აქ რომ იოლად გადარჩებოდი, სამაგიეროდ იქ ოთხში ამოვიღებენ...

— მეც არ ამოვეღებინები.

მილიციელმა ერთხელ კიდევ შეიხედა ხალათის კალთები, ნაგანის ცარიელი ბუდეც მოსინჯა უცნოს დასანახავად (იარაღი წელან საგუშაგოზე შემცვლელს გადაბარა) და ანიშნა, წინ წამიძეხიო.

— არსადაც არ წავალ, — ისე თქვა უცხომ, დაგაჯერებდათ. ქამარში ცერა ნუგ გეორგიწმინდელი ,,ქარქუშა ხარ-ბოვიც გაგიგონია...

— გამიგონიაო?! — ესტატემ ულვაშზე ხელი გადაისვა, ცალთვალმოჭუტულმა გახედა მილიციელს. — ქორწილსა და ნათლობაში კი ერთად არ გვიქეიფია?! საერთო ძმაკაცების შესახლობარიც კი ერთად არ შეგვიხვამს?.. კარგი ერთი, თუ ღმერთი გწამს, მაშ იმ ცალთვალა დევის ბიჭი ხარ?!

— იმის ბიჭი ვარ, თედო!

— რას ამბობ კაცო, ეს რა მესმის? მერე და ,,ქარქუშას ბიჭი დაჯარიმებით მემუქრებოდი?!

ორივეს გულიანად გაეცინა. ბეჭებზე ხელებიც კი დაკრეს ერთმანეთს მეტისმეტი სიამოვნებისაგან.

— მერე და, ძია ესტატე, აქ, გაზონის ბალახზე რას წამოწოლილხარ, ამ მტვრისა და ხმაურში, ამ სადგურის მოედანთან...

ესტატემ ამოოხრა.

— მა სად წავიდეს კაცი... გულზედ ბეღტვივით გადაწოლილი დარდის გადასაგორებლად. მოედანზე ხშირად ჩამოვდივარ, მატარებელს ვხვდები, იქნებ იმ ლიანგში ერთი ჩემი თანასოფლელი მაინც გამოეჩიოს... იქაურ ახალ ამბებს გამოკეითხავ, ძველს გავიხსენებთ... ჩემს დღეში მყოფ კაცს მეტი რა უნდა...

— თუ გული ისევ იქით მიგიწევს, ჭეღარ გამიგია, აქ რაღა მოხელე ხარ, რას ელოდები?

— შენ ეგა თქვი! მაგრამ ვინ მოგასვენა. შვილები სულ აქეთ გადმობარგდნენ... ჰო და... მეც დამიყოლიეს... დაყოლიება რასა ჰქვია... გამასულელეს. ჯერ იყო და, უფროსმა ბიჭმა ქნა აქეთ პირი, მერე მისმა მოძღვარმ... გამეხარდა, მე ხომ აქა ვარ და ვარ, რა უშავს, თუ ერთი-ორი შვილი ქალაქშიაც მეყოლება-მეთქი. მაგრამ თურმე ,,ამ ანდაზისა არ იყოს, ერთ თითს რომ მოკაკვავ, დანარჩენებიც თავისთავად მოიკაკვებიანო, ისე ამიხდა. უფროსს მომდევნომ მიბაძა, მომდევნოს მისმა მომდევნომ და იმ რეა შვილში ბოლოს მარტო ერთი ქალიშვილი შემოგვრჩა ხელში... მერე ისიც გათხოვდა, და... დავრჩით მე და ჩემი დედაკაცი ასე იაქედ. შენ ის თქვი, უფროსი რომ ქალაქს წამოვიდა, წელან რომ გითხარი გამეხარდა-მეთქი, გახარება რას მიქვიან, უღელი ხარი რომ მყავდა, მივაყოდე და ერთი ოთახი აგერა ცხრა ძმის ქუჩაზე შევიგულე, ვუყიდე იმ ბიჭს და ჩავასახლე... მე კი ამ შემდეგ ტყიდან შეშას ზურგით ვეზიდებოდი. რა ვიცი... ბეკუას სხვები მეკითხებოდნენ, მაგრამ მე კი, როცა გამიჭირდა, ვერაკის დავეხსნე და... ცხოვრებას, იცი, თედო, ორი კანონი ჰქონია, დაწერილი და დაუწერელი... დაწერილ კანონს შეიძლება რაში უშმაკო და... გაჭუმდება, მაგრამ იმ დაღოცვილი ღმერთის დაწერილს რას მოუხერხებ... ბულა და აქაურობას უკვე თავისად თვლის, შენ კი უბრალოდ გაძღეცაც კი გიჭირს, თუმცა შვილები გარა გაუხვევია... რა გახდა ის შენი ატოცი.

— მაშინ მეორცხალზე რაღას იტყვი... ან კიდევ ისვი რომ ისვია, ისაც კი ზოგიერთ ადამიანზე უკეთ იცის თავისი შობლიური კუთხის ფასი... ორი-სამი თვით ჩამოფრინდება ჩვენთან, დაეკავა ,,ეუბეულებს და მერე ისევ გაუდგება გზას არაბეთისა ან აფრიკისაკენ... მიდის, მიეშურება ისევ იქით, საიდანაც მოფრენილა. ახლა ფეერეიდნელი ქართველები? იმათი წინაპრები სამასი წლის წინ რომ გაურეკია ძაღლთაპირ მაჰმადაზს, იცი რას ამბობენ თურმე?.. ფერეიდანში დავიბადეთ, ვცხოვრობთ, მაგრამ ჩვენი სამშობლო გურჯისტანიაო... ზოგს კი სამშობლო ისა ჰგონია, სადაც ან შემთხვევით დაბადებულა, ან მაძღარია... შეიძლება ენდო ასეთ ხალხს?..

— ძია ესტატე, შენ მართალი ხარ... უბანში მისასვლელი რომ არ ვიყო... ახლა მეჩქარება... რაკი ხშირად აქა ტრიალებ, კიდევ შევხვდებით ერთმანეთს, თუ ვინმე ატოცელი დავიგულე, ერთად გეწვევით...

— თედო, თუ მაგ სიკეთეს იზამ... ერთად მესტუმრეთ, აი იქა, ცხრა ძმის ქუჩაზე, აქედან მეათე ხახლი ჩვენია. ჩემს უფროს ბიჭს უბანში ყველა იცნობს, გაბრიელს იკითხავ თუ არა, მოგასწავლიან...

— ცხრა ძმის ქუჩა. ბარემ ნომერიც მითხარი... გაბრიელი ნომერი ხომ არ არის, კაცის სახელია, შეიძლება სხვასაც ერქვას.

— ე მაგ ნომრებისა არაფერი ვიცი... სახელით კაცს ცხრა მთას იქითაც მიაგენებ, ცხრა ძმის ქუჩაზე კი არა...

— მაშ, კარგად მენახე! — თედო მხედრულად გამოეჭიმა ესტატეს, მერე უბნისაკენ გაეშურა.

ესტატე ერთხანს ისე უმწეოდ, მიტოვებულივით იდგა, ისეთი სინანულით გააყოლა თვალი გიორგიწმინდელს, თითქოს მოხუცს ცოტახანს წინ ნაპოვნი საბიჯგი ჯოხივით, ის თედო ვინმეს ხელიდან გამოეტაცოს. ესტატე დინჯად გაუყვა ფიროსმანის ქუჩას, მიდიოდა და ცოტახანს წინ საღერღელაშლილს, მოგონებები ახლა თავს ისე დასტრიალებდნენ, თითქოს ყველაფერს ცხადად სედავდა.

ასე ძმა ჯერ ისევ ერთ ბერქვეშ ცხოვრობს... საღამოთი დიდ გლეხურ დარბაზში ორმოციოდე სული ვახშამს რომ მორჩება, ისეთი მყუდრეთა ჩამოვარდება, ბალახ-ბულახი მიმაღლული მწერების ხმაც კი მკაფიოდ ისმის გარედან... დიდი, პატარა, ქალი, კაცი სუნთქვაშეკრული, მონუსხულივითა მისჩერებია ესტატეს. ის კი ისევ იქ, გრძელი სუფრის თავში ზის, სადაც ვახშმობის ჟამს იჯდა, დანარჩენები კი ვისაც სად უმჯობინებია, იქ მოკალათებულა. ესტატე ზღაპრის მოსაყოლად ემზადება... და ამ ერთბაშად ჩამოჯარდნილ მყუდროებას ესტატე კიდევ უფრო მოძყავს გუნებაზე, მაგრამ არ ჩქარობს... იცის, რაც უფრო ძლიერად აეშლებათ ზსნენელებს ზღაპრის მოსმენის საღერღელი, ბოლოს მით უფრო კმაყოფილი დარჩებიან.

— ნიკა! — წყნარად უხმობს ესტატე უფროსის მომდევნო ვაჟიშვილს, — ლამფას არ ჩაუწევ? ეგ შუქი შიგ თვალებში მცემს და რაღაც მიშლის...

— რაღა ჩავუწიო, სულაც ჩავაქრო, ოღონდ არაფერმა შეგიშალოს...

— ბალღებს თუ არ შეეშინდებათ... ეეკითხ კითხულობს ესტატე.

— სულ პატარებს სძინავთ კიდეე... ან არა და დედის კალთაში რისა შეეშინდებათ, — მიუგებს ნიკო. სწრაფად აქრობს ბუხარზე შემოდგმულ ლამპას.

მოულოდნელად, იმ ხიჩუმეში თითქოს სადღაც შორიდან მოესმათო, ისე დაირხა ესტატეს ნაცნობი ხმა... „იყო და არა იყო რა...“

და ასევე უეცრად ჩაესმა ესტატეს ,,ეუფრისი ვაკის ნაცნობი ხმა.

— მამი, სათი გაგიწევთა?!

ესტატე გამოერკვა, მოიხედა და ,,ეშეკარში გაბრიელს რომ მოკკრა თვალი, მაშინვე მიხვდა, რომ ოციოდე ნაბიჯით სახლს გაეცილებული და ოციოდე წელით წარსულში გადაბრეგბული, იქ, ატოცში შინაურებს ზღაპარს კი არ უყვეობდა, თურმე ცხრა ძმის ქუჩაზე მიაბიჯებდა... მოხუცი უსალეკვ ხვდება ყველაფერს და თავი რომ იხსნას, მიზეზს მარჯვედ პოულობს.

— რა იყო, აგერა მაღაზიაში პატარებს კამფეტს ვუყიდი და... მერე მოვალ, მა რა იქნება...

გაბრიელს კამფეტის ზღაპარი არ სჯერა, თითქო მამის გულში იჯდეს, ყველაფერს მიხვედრილია.

— მობრუნდი, კაცო, მაგათთან უკამფეტოდაც ტკბილი ხარ. სადაც არის დავსხდებით, თორმეტს გადასცილდა. უშენოდ ხომ არ ვისაუზმებთ.

— უჩემოდა? — ესტატეს ჩაეცინა, — თორემ მეც რა ანგარიშში ჩასაგდები გყავართ.

ესტატემ ნაბდის ქუდი მოიხადა და როცა იხურავდა, შუბლზე დარდმანდულად წამოიწია. შინაურებს რახანია შეჩნეული ჭქონდათ — თუ შეეეიფიანებული, ან ხუმრობის გუნებაზე გახდათ, ქუდი ყოველთვის ახე, შუბლზე ეამოწეული ეიურა.

გაბრიელმა აცალა, სანამ მამა პირს მისკენ იზამდა, და მოახლოებულს საყვედურგარეული საალერსო კილოთი შეგაგება.

— აბა ეგ რა ლაპარაკია... ჩასაგდები რომელია... ჩვენი ჯილაგის ანგარიში ყველაფერში შენით იწყება... შენა ხარ წინამძღოლი!

— წინამძღოლი, — კელავ ჩაიცინა ესტატემ. — ატოცში რომ გეეკვა, კიდევ კო, მაშინ რა ეზა მქონდა არ დამეჯერებინა, ახლა კი... რის მაქნისი ვარ... შენ შენს საქმეს მისდევ, ის თავის საქმეს, მე კი... მოესვლია მქვია და ოთხი წელიწადია ჩემი ხელი ხორბალს არ დაკარებია... ერთი მარცვალი რა არის, ისიც არ ჩამიგია ხნულში, რომ ამოსული მენახა... ახლა მოდი და პირი მომიქონე, ანგარიშში ჩასაგდები ხარო... შენ რომ ჩამაგდო, მე დავიჯერებ?

— მაგისთნა საყვედური, რაც აეა ხარ, პირველად მესმის შენგან!.. — გაბრიელმა ბამის შუბლზე ჩამოწეულ ქუდს ირიბად ჭკიდა თვალი, ჩაიცინა, — შენ, მგონია ხუმრობის გუნებაზე ხარ და მე კი ვერ მიგიხვდი...

ესტატეს უეცრად და გულმოსულად შეხედა გაბრიელს, ქუდი დინჯად გაასწორა, ორივე ხელით მჭიდროდ ჩამოიცვა თავზე.

გაბრიელს ნირი წაუხდა.

დღეს პირველი შემთხვევა იყო, რომ ესტატემ უფროს ვაჟიშვილსაც კი თავის გულში ჩაახედა..

ესტატემ იგ იყო დერეფნის ზღურბლს გადააბიჯა, რომ ერთბაშად უკან მობრუნდა, კარის წინ დაფენილ სველ ტილოზე ფეხი რამდენჯერმე ისე გაუსვა, გულმოსულობა ამაშიაც კი შეეტყო.

გაბრიელი ფეხდაფეხ არ მიჰყოლია, ცოტა შეიცადა, ვითომ ეზოს თვალიერებაში შეყოვნებულიყოს.

ის იყო, ყველანი სუფრას შემოუსხდნენ და პირველი თავის ჩამორეგებამდე მწვანილს, ყველა და ნიგეზით შეკმაზულ მამაპაპურ ლობიოს შეექეცოდნენ, რომ უეცრად მეზობლის ქალის კივილმა მთელ სახლს ერუანტელივით დაუარა. ყველა გაბნანა, პირისპირ მსხდომნი გაკვირვებით მისჩერებოდნენ ერთმანეთს და რაღაც ავის მოლოდინში კრინტი ვერ დაეძრათ...

რასაანაა დაწვნენ, რახანაა ხინათლე ჩააკრეს, მაგრამ ძილი არავის მიჰკარებია... შუალამეს უკვე გადაცილებული იყო, თუმცა უჩვეულო გარინდებას, რაც შთელ სახლში დასადგურებულიყო, არ შეძლებოდა კაცი შეიდომაში არ შეეყვანა. და ესტატეც ფიქრობდა, რომ მის გარდა ყველას ეძინა...

ომსა, ხვალინდელ დღესა და შვილების ბედზე ფიქრმა ესტატე შეუმჩნევლად წარსულში გადაიხოლა. ერთი შემთხვევა მოაგონა, რაც რწმენასა და ერთგულებას უკავშირდებოდა...

... უწყებას უწყება მოჰყვა და ორი ვაჟკაცი ერთმანეთის მიყოლებით გაისტუმრა ესტატემ ფრონტისაკენ.

შვილების გასტუმრების შემდეგ ესტატეს რამდენმე დღე კიდევ ითმინა, იფიქრა, იბორკა და თავისი განზრახვა პირველად ნინოს გაანდო.

— გაბა არ ვიცოდი, — დინჯად უთხრა მეუღლემ, — შვილების წასვლა და შეიი ამვება ერთი იქნებოდა...

— რაკი მეც უწყება არ მომსვლია, განა უმაგისოდ არ ვიცი ამ ომში ჩემი ადგილი სად არის! აქამდე თუ ყურადღება არავის მოუქცევია, სვალ ქუჩაში რომ ატოციდან ჩამოსული შემხვდეს ვინმე, კილმეურნეობაში იცი რა ამბავს ჩაიტანს? ი ჩვენი ესტატე თურმე თბილისში იმალებაო!..

— მარტო მაგან თუ შეგაშინა და აგაწრიალა, ნუ გეშინია, კარგად იცან, ვინ რა კაცია.

— ყველს კი გამოგჭრის და... ესეც რომ არ იყოს, შენა გგონია, რაკი დაიხოცნენ, იმ ჩვენი მშობლების სული ჩვენზედ აღარ ზრუნავს, ჩვენზედ არა სწუხს? მაგრამ რა ქნას, რომ ვერ ეუპოვნეოვართ... აქ როგორ მოგვაგონოს, იმათი სულები იქ, იმ ჩვენი ძველი, მამაპაპური“ სახლის სხვენსა და დარბაზში დაბორიალობენ... დაბორიალობენ და ალბათ ძალიანაც სწუხან, რომ იქაურობა მარტო სულების ამარა დარჩენილა. ნინო, მენ როგორც გენებოს, მე კი დღეის ამას იქით აქ ერთი წუთითაც დამყოვნებელი აღარა ვარ... უსაქმოდ ყოფნის ნება აღარა მაქვს...

ატოცს რომ ჩავიდნენ, დალამებული იყო. გზად კაცისშვილი არ შეხვედრიათ. ჩასანელებულ სოფელს რაღაც უცნაური გარინდებაც დასწოლოდა. სანამ შორს, სოფლის განაპირას ძაღლის ყეფა არ ატყდა, ესტატემ შიშით ისიც კი იფიქრა, სოფელი ხომ არ აყრილო.

საგულდაგულოდ დაგმანული ჭიშკარი რის ვაი-ვაგლახით გაიღო და ეზოში შევიდა. აქაურობას ვეღარ ცნობდა, თუმცა ამ ღამეში ბევრს ვერაფერს ხედავდა, მაგრამ საამისოდ ისიც კმაროდა, თავის ნებაზე მიმავალი, გაველურებული ბალახ-ბულახი რომ წელამდე შემოსწვდა.

თბილისიდან წამოღებული კარტოფილის სანთელი აანთეს. დარბაზის კედლებზე და ჭერზე უმალ აბორიალდა სამი ადამიანის ლანდი... აქაურობა ერთ წამში გაეცოცხლდა, ესტატე კი... თითქო ხელასლა დაიბადა.

ნინომ მაგიდის კუთხეში გაზეთი გაშალა, ზედ თბილისიდან წამოღებული სანოვაგე — მოხარშული ხორცი, პური, ყველი ჩამოარიგა თბილისიდანვე წამოღებულ მომცრო თეფშებზე. მაგიდაზე ერთი ბოთლი ღვინოც გაჩნდა. კარადებში არაფრისთვის ხელი არ უსლიათ. დამტვერილი ჭურჭლის გასარეცხად ამ ღამეში ვის ეცალა. როგორმე ეს პირველი უჩვეულო ღამე უნდა გაეთენებინათ და ხვალიდან დაიწყებოდა სულ სხვა, წინანდელზე ერთიათად მეტი შრომით, ფუსფუსით, ჯაფით, ზრუნვით; ომში წასულებზე ფიქრით და წუხილით აღსავსე ცხოვრება.

მეზობელ ოთახში მეუღლესა და შვილიშვილს სძინავთ, ესტატე კი ისევ ისე ზის და ფიქრობს, მარტოდ მარტო, დიდ დარბაზში. ზის ხუფრის თავში და ნელა აბოლებს თუთუნს.

ესტატეს ხსოვნაში საკვირველი სიცხადით ცოცხლდება წარსული. აგერ მამა შემოვიდა, შორიახლოს დედის ლანდია, მარცხნივ ძმები დგებიან, მარჯვნივ ძმისშვილები, სულ ბოლოში კი მეონია სიძეები უნდა იყონ. ყველა თავ-თავის, ერთხელვე ამოჩემებულ ადგილს იკავებს დარბაზში, როგორც მაშინ, ოღესღაც. თითქო ეს-ეს არის, უვახშმიათო. ქალები სუფრა უკვე აულაგებიათ, ბავშვები კალთაში ჩაუწვენიათ. და მთელი ეს მრავალრიცხოვანი მრეული დიდიან-პატარიანად ელოდება, როდის დაიწყებს ესტატე ზღაპრის თხრობას.

ყვება ზღაპარს ესტატე, ყვება ხამი ძმის თავგადასავალს, და თავად ისე იტაცებს ზღაპრის მერიპეტეები, რომ ვეღარც კი გრძნობს დროის სრბოლას და ერთბაშად გაოცებას იწვევს მზოლოდ ის, თუ წელან, ზღაპარს რომ იწყებდა, ოთახშიაც, გარეთაც ისე უსაშველოდ ბნელოდა, ახლა ფანჯრას სიზმარივით განათებული ცა მოსდგომია, ხეთა კენწეროების ჩრდილები გადმოსულან ღია ფანჯარაში და მოპირდაპირე კედელზე ისე მოხატულან, თითქო ისინიც ესტატეს ზღაპრის მოსასმენად შემოპარულიყვნენ... და ესტატეს ისე ეჩარმოდგინა, რომ იმ ზღაპარს, მის დარბაზში რომ გაისმა წელან, მთელ სოფელს, მთელ ატოცს, მთელ ქართლს, მთელ საქართველოს, მთელ ქვეყნიერებას უამბობდა. უამბობდა იმ რწმენით, რომ სულ ერთია, ატოცს, ალგეთს, გრემს, უშგულსა თუ რუსთავს კიდევაც დაიზრდებიან... ესტატეები!

მხატვარი ნ. იანკოშვილი.





ქართველი მწერლები — ხუთწლედის მხარეებისადმი

რევაზ მარგიანი

საგაზაფხულოდ, საქართველოს პოეტებს



რევაზ მარგიანის პირველი ლექსი „მარანგულა“ დაიბეჭდა 1934 წელს „ლიტერატურულ გაზეთში“, პირველი წიგნი „ლექსები“ გამოვიდა 1940 წელს. პოეტის ძირითადი წიგნებია: „მუმლი მუზასა“, „აქა მშვიდობა“, „მთანი მაღალნი“, „ლილე“, „მხილოდ ახალი“, „ახვევ ახალი“, „გამოღვიძება“ და, ბოლოს, „ერთგულეული“.

ჰა, ეს ბარათი...
 იწერება, ჩემი ქალალდი
დაწინწკლულია
 გაზაფხულის მწვანე შხეფებით.
კვლავ სიტყვებს ვარჩევ,
 სადღეისოდ რომ ვინახავდა,
როგორც არჩევენ
 სათეს ხორბალს ჩვენი გლეხები.

სიტყვას დავეძებ
 და ვფუსფუსებ საგულდაგულოდ,
მსურს ჩიტებს — გვრიტებს
 გავატანო ჩემი ოცხება.
მსურს ჩემს სტრიქონში
 შთაგონებამ დაისადგუროს,
ნაზამთრალ, დამზრალ
 დედამიწის გასაცოცხლებლად!

ვინ მომცემს ძალას —
 ხალხის სუნთქვას გავუთანაბრდე,
გავყვე ათასი
 ნაკადულის აწკრიალებას?...
ხედავ, მცხუნვარე
 მზე ასულა ზუბის ტარიმდე
და ბალ-ვენახებს
 გადაპყრია ოქროს პწკალებად.

ნაზამთრალ მიწას,
 გაღვიძებულს, ტკბილად აზმორებს,
ასჩქროლებია
 სითბოსაგან სისხლი ხეხილებს.
სიმწვანის ალი
 გადალოკავს მალე მთა-გორებს,
ფიფქებგადაყრილ
 საქართველოს ულელტეხილებს.
გული მეძახის:
 მინდვრებს უნდა მონახულება,
რაღაც საამოდ
 იშმუშნება მთელი ბუნება.
ვიჩქაროთ უნდა,
 არ დაგვასწრონ მოლაღურებმა
სიმღერის თქმა
 და ახოებში აყლურტულება.

ვიჩქაროთ... თორემ
 გაზაფხულის ღელვა დაიძრა,
მთებში ხვივილით
 გაიღვიძეს ბნელმა ხეებმა.
ხმები მომესმის
 ამღვრეული ნიაღვარისა
და გაღვიძებულ
 მდინარეთა მესმის ხვეელება.

ვხედავ, ბუხრები
 აბოლებენ ცაში იისფრად.
და რუხი ფერი
 ცას თანდათან შემოეცლება.
ვიჩქაროთ, თორემ...
 ერთ მშვენიერ გამთენიისას
იქნებ დაგვასწრონ
 შემოფრენა ჩვენმა მეფცხლებმა.

ვიჩქაროთ... თორემ
 გაზაფხული ფრთებს აფათქუნებს,
სიმწვანემ თითქმის
 გადაშალა თეთრი ზამთარი.
ალვებს ცერებზე
 შემოდგარებს, ცად აღმართულებს,
ისევ ახარებთ
 გაზაფხულის მოსვლის თვალთვალი.

ვიჩქაროთ, ძმებო,
 ამოფრენა ფუტკრებს დავასწროთ,
მხვნელსა და მთესველს
 ამოვუდგეთ მხარში ერთიან.
თეთრი ფარაჯა
 მწვერვალებზეც ვეღარ ფარაჯობს,
დაბალ გორაკებს
 ფიფქი უკვე გადუბერტყიათ.

მხვნელსა და მთესველს
 აბა, ჩვენგან რა ესწავლება!
იციან, მიწა
 სტრიქონებად როგორ დასერონ.
ჩვენ მათი გარჯა,
 სუნთქვა, ღელვა, გულმხურვალება
ვით თესლი ხნულში —
 სტრიქონებში აღმოვაცენოთ.

უკვე აჩქროლდა,
 სისხლი ბრუნავს მუხის ღეროშიც,
ახლის თქმა მინდა
 და ახალი ძნელად თქმებიც...
და ისიც მინდა
 მარად ახალ საქართველოში
რომ დაფრინავდნენ
 სასიკეთო ჩემი ფიქრები;
რომ ერის გული
 ჩვენი სიტყვით იყოს გამთბარი,
ბევრი ახალი
 დაიბადოს კიდევ თქმულება,
რომ ხალხს არასოროს
 გუთავდეს ლექსის სამკალი —
ბალღთა და ჩიტთა,
 ოცნებათა დახაპურებლად.

„კოშუნისტის“ ფოსტიდან

დავრგოთ, გავახაროთ!

უველი დღე გვაშორებს ომის ქარიშხლიან, წლებს, მაგრამ განა შეიძლება მისი დავიწყება? ვავახსენოთ, ოა უბედურება გამოიარა ჩვენმა ქვეყანამ, ხალხმა, რა საშინელებამ გადაიტანეს სამშობლოს დამცველებმა.

ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში წარბი არავის შეგვიხრია, თვალზე რული არ მოგვკარებია, თავი არ დაგვიზოგავს, მტერს საკალრისი მივუზღეთ და დავამარცხეთ. მაგრამ ვაგლახ, უველამ ვერ იზეიმა გამარჯვება. ბევრი, ძალიან ბევრი შეეწირა სამშობლოს, ბევრის, ახავალ-დასავალი დღესაც არავინ იცის...

ომის დამთავრება გაზაფხულს ბგავდა, ჯერ კიდევ ძაძებით მოსილს, მაგრამ ასაყვავებლად გაკვირტულს. დადგა რგვეისა და შენების დრო. ხალხის ენთუზიაზმმა ხელახლა ააშენა-დაამშვენა ქვეყანა. ია-ვარდისთვისაც მოიცალეს...

ტრაილების უამთასვლის ბორბალი. იცვლებიან თაობები. ვეტერანთა ესტაფეტას ახალგაზრდები იღებენ. ომში დაღუპულთა ხსოვნა ისტორიის საქმედ იქცა. ვდგამთ ობელისკებს, ძეგლებს. ახე რომ არ მოვიქცეთ, გაივლის წლები და ,,ახა ვის ეხსომება, ომიდან ვინ არ დაბრუნდა, ვინ შესწირა თავი სამშობლოს! ჰო და, ძეგლები და ობელისკები კარგია, მაგრამ სურვილი უფრო დიდია. წმიდათა წმიდა გრძნობა მათ მუდამ ჩვენთან, ცოცხალთა გვერდით ამკვიდრებს, ჩვენც გვინდა რაღაცითი უკვდავყოთ მათი ნათელი ხსოვნა.

ერთხელ სტალინგრადში, როცა მორიგი შეტევის მოლოდინში ქარბუქისაგან გათოშილნი სანგარში ამოდგ ვიდილობდით დუმილის გაფანტვას, ვიღაცამ ხმამაღლა თქვა:

— ბიჭებო, ეური მოგდეთ! აბა, ვინ რას ინატრებს?

ავერიამეულდით. ვინ რა ინატრა და ვინ რა. დალახვროს ეშმაკმა — თურმე კაცს ასეთ ყოფაშიც შესძლებია ნატვრა!

მხოლოდ ერთი თანამოსანგრე დუმდა. საკუთარ ფიქრებს ისე გაეტაცნა, ვერც გვამჩნევდა, არაფერი ეხმოდა ჩვენი.

— შენ, შენ რაღას ინატრებ, მეხა?

— არაფერი არ გინდა, ბიჭო?

— ამოიდგი ენა. ბა, ბომ არ დამუნჯდი? — შეკუტიეთ.

მეხა გამოფხიზლდა. მერე ღრმად დაფიქრებულმა გვითხრა:

— რა უნდა ვინატრო ამ ჯოჯოხეთში? ნატვრით სიკვდილს ვინ გაქცევია! ისე კი მინდა, გამარჯვებას რომ მოვესწრებოდე... არა და, შინ არავინ მრჩება, შესანდობარი მაინც რომ დალეოს. ეჰ, ერთი საბრალო დედა მყავს, ბიჭებო, ისიც ალბათ ჩემს ჯავრს გადაყაყავს. ჰო და, ვინმე რომ გამოჩნდ. დებოდეს, ჩემს სახელზე ერთ ძარ კაკლის ხეს მაინც დარგავდეს, ალარ ვრავი. ხომ იცით, კაკლის ხე გაიზრდება, დამშვენდება, დიდხანს იქნება, კაკალს მოიხსამს, ბავშვები პრის ჩაიგემრიელებენ, მიხას კაკალიაო, გაიხსენებენ. ვიღაც მაინც ხომ იკითხავს, ვინ არის ეს მიხაო. და მეც გავცოცხლდები. მეტი რაღა მინდა?!

მიხას ნათქვამმა ყველანი აგვაფორიაქა, ჩაგვაფიქრა.

მალე შეტევა დაიწყო. ხალამოუამს კი მიხა უკვე ალარ იყო ჩვენს რიგებში.

მიხას მაშინდელი ნატვრა გულში ჩამრჩა, მუდამ მაწუხებდა, არ ვიცოდი. რა მექნა. და აი თქვენც გაგიზიარეთ.

გაზაფხული დადგა. მოდით, დავრგოთ ხე, მიხა დავარქვათ, გვარიც მივაწეროთ. დამბადების წელიც. ავუსრულოთ ნატვრა.

მერე განა მარტო მიხას?

ყველა მიხას, ყველა ვანოს, ყველა გიორგის, ყველა ვაჟას, ყველა აკაკის, ყველას, ვინც სამშობლოს დასაცავად წავიდა და შინ ვერ დაბრუნდა. დავრგოთ კაკალი. წაბლი, მუხა, ცაცხვი, აკაცია, ნაძვი, გავაშენოთ ტყე, ხეივანი, პარკი, ბალი, გზის პირი. დავრგოთ ცალცალკე, იუკვალონ, იზარდონ, ისაროონ!

ყველა ვიცით, ვინც წავიდა. იხიც ვიცით, რამდენი არ დაბრუნდა, ჰო და, დავრგოთ იმდენი და გავახაროთ. იზარდონ იმათ სახელზე და ილალონ თავაკაჩრილმა ხეებმა. ტეეებმა. საუკუნეებს შეინახონ მათი გმირობა.

ამ საქმეში დავიხმაროთ ყველა — ომში დაღუპულთა დედები, მამები, შვილები, შვილიშვილები, დები, ძმები, ნათესავები, მეზობლები, პიონერები, კომკავშირელები.

მგონი, არავინ დაიზარებს ამ საშვილ

გაზაფხული სოფლად

ვეცხვარეებ ცხვარი გაშალა...

თეთრი წყაროს რაიონის სოფელ ჯორჯიაშვილის კოლმეურნეობის მოწინავე მეცხვარე ჩიტო ლონდარიძე. (ფოტო ი. დავითაშვილის — საქინფორმის ფოტოქრონიკა).

სპორტი

საჭადრაკო მერიდიანებზე

ტალინი. დამთავრდა 12 ტურის შემდეგ გადადებული პარტიები. კერეხმა ხუთ ოთხი ხვლა გააკეთა და დანებდა ტალს. ამრიგად, ტალი 10 ქულით მეტკიცედ ინარჩუნებს ლიდერობას. მეორე ადგილზე გადაინაცვლა პოლუგაევსკიმ (8,5 ქულა), რომელსაც პფლეგერი დანებდა თამაშის განუახლებლად. 8 ქულით მესამე ადგილზეა სპასკი. ორი გადადებული პარტია ჰქონდა ნერს. იგი თამაშის განუახლებლად დანებდა კიარნერს, სეიდთან კი დამარცხდა. ამრიგად ნერს 12 თამაშიდან 7 ქულა აქვს. დარჩენილ 3 პარტიაში გროსმასტერის ნორმის შესასრულებლად კიდევ 2 ქულის მოგროვებაა საჭირო. დანარჩენ ოსტატებს კი უკვე აღარა აქვთ ამ ნორმისათვის ბრძოლის შესაძლებლობა.

ლას-პალმასი. ესპანეთის ამ ქალაქში იწყება მეტად ძლიერი შემადგენლობის საერთაშორისო ტურნირი. ბრძოლაში ებმებიან მსოფლიოს ექს-ჩემპიონი პეტროსიანი, გროსმასტერები შტეინი (ორივე— საბჭოთა კავშირი), ლარსენი (დანია), ჰორტი (ჩეხოსლოვაკია), პანნო (არგენტინა), ლიუბოევიჩი (იუგოსლავია) და სხვები.

ბუქარესტი. საბჭოთა გროსმასტერი ტაიმანოვი მონაწილეობს რუმინეთის ღია ჩემპიონატში, სადაც თამაშობენ აგრეთვე ბულგარეთის, გდრ-ის ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის, პოლონეთისა და კუბის წარმომადგენლები. პირველ ტურში ტაიმანოვმა მოუგო საერთაშორისო ოსტატ გიცეკუს მეორე ტურში კი დამარცხდა საერთაშორისო ოსტატ უნგურიანუსთან.

ბელგრადი. 4 ტური გათამაშდა 8 მარტისადმი მიძღვნილ ქალთა საერთაშორისო ტურნირზე. 2,5 ქულითა და ერთი გადადებული პარტიით პირველ ადგილზეა საერთაშორისო ოსტატი ნიკოლაუ (რუმინეთი). საბჭოთა მოგზაურაკეებს შულსა და კოზლოვსკაიას 1,5-1,5 ქულა და ორ-ორი გადადებული პარტია აქვთ თვითეულს.

ჰავანა. კაპაბლანკას მემორიალზე, რომელიც ქალაქ სანფუეგოსში მიმდინარეობს, გათამაშდა 14 ტური. ლიდერია გროსმასტერი ულმანი (გდრ) — 11,5 ქულა. მესამედან მეორე ადგილზე გადაინაცვლა მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა სმისლოვმა (11 ქულა). შემდეგ მიდიან დონერი (ჰოლანდია) — 10 ქულა, კუზმინი და ბულგარელი გროსმასტერი სპასოვი — 9,5-9,5 ქულა, სავონი და გარსია (კუბა) — 9-9 ქულა თვითეულს.

სპორტული ქრონიკა

● **ხელბურთი.** გდრ-ის ქალაქ ნოიბრანდენბურგში გამოვლინდნენ ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ტურნირის ნახევარფინალისტები. „ა“ ქვეჯგუფში წარმატებით გამოვიდნენ იუგოსლავიისა და უნგრეთის სპორტსმენები. პირველებმა დაამარცხეს ბულგარელები — 13:9 (7:6), ხოლო უნგრელებმა გამანადგურებელი ანგარიშით სძლიეს ჰოლანდიელებს — 22:5 (8:2). საბჭოთა გუნდმა „ბ“ ქვეჯგუფში დაამარცხა გდრ-ის მეორე ნაკრები — 19:12 (12:5) და გავიდა ნახევარფინალში, სადაც ამავე ქვეყნის პირველ ნაკრებს შეხვდება.

● **ოხილამურებით ხტომა.** 15 ქვეყნის 66 „მერინავი მოთხილამურე“ გამოვიდა ობერსტდორფის (გფრ) დიდ ტრამპლინზე გამართულ მსოფლიოს მეორე ჩემპიონატის სტარტზე. წინასწარ ხტომებში იაპონელი ტ. იტო ადახტა 176 მეტრზე, მაგრამ უკანასკნელ მომენტში წაიქცა. საბჭოთა სპორტსმენთაგან ყველაზე კარგი შედეგი ჰქონდა გარი ნაპალკოვს — 148 მეტრი.

მოგზაურობა საზღვარგარეთ

ხაქართველოს პროფკავშირებმა 1973 წელს მუშა-მოსამსახურეებისათვის ბევრი საინტერესო სახღვარგარეთული ტურისტული მოგზაურობის გეგმები შეიმუშავეს.

ტურისტთა ძირითადი ნაკადი ხალიალისტურ ქვეყნებში იგზავნება. იქმნება საქციალიზებული ჯგუფები სახალხო მეურნეობის დარგების, ქალაქებისა და რაიონების მიხედვით. ბულგარეთში მიემგზავრებიან ნავთობის, ქიმიური და მუშუქი მრეწველობის, რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკთა, მშენებელთა, პედაგოგთა ჯგუფები, ლაგოდეხის, ყვარლის, თელავის, სიღნაღის, გურჯაანის რაიონების, ქალაქ ფოთის მშრომელები; უნგრეთში — ადგილობრივი მრეწველობისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრები საწარმოთა მუშაკები; გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში — ავტოტრანსპორტის, მსუბუქი, ნავთობისა და ქიმიური მრეწველობის მუშაკები, მშენებლები, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, თბილისის მეტროპოლიტენის მშრომელები; პოლონეთში — სპორტსმენები, რკინიგზელები, ხოფლის მეურნეობის, სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკები, თბილისის პირველი მაისისა და ოქტომბრის რაიონების მშრომელები.

ბულგარეთზე გადის რამდენიმე ტურისტული მარშრუტი. ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები ამ ქვეყანაში იმოგზაურებენ ან დაისვენებენ კურორტ ოქრის ქვეშრობში. სპეციალური ჯგუფები ესტუმრებიან „ოქროს ორფეოსის“ ფესტივალს და მწყემსთა დღესასწაულს. აჭარის მშრომელნი ბულგარეთში ესტუმრებიან დაძმობილებულ ქალაქებს.

საქართველოს მშრომელებს უმეტესად მოეწონებათ მოგზაურობა სამხრეთ ჩეხიაში, უფროსლავიის ზაგრების ბაზრობის სტუმრობა, რუმინეთის ეფორიანორდეს კურორტზე დასვენება.

მშრომელები იმოგზაურებენ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ჩეხოსლოვაკიასა და უნგრეთში.

უფალუტო საფუძველზე იმოგზაურებენ წამყვან პროფესიათა მუშების სპეციალიზებული ჯგუფები. მანქანათმშენებლები მიაშურებენ პოლონეთს, სოფლის მეურნეობის მუშაკები — გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას, მშენებლები და საშენ მასალათა მრეწველობის მუშები — ჩეხოსლოვაკიას, მსუბუქი მრეწველობის მუშები — ავსტრიას.

ტურისტთა სპეციალიზებული ჯგუფები ეწევიან ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკას, ფინეთს, იტალიას, ინდოეთს, იმოგზაურებენ ევროპის გარშემო და დუნაზე, მოეწყობა კრუიზები თბომავლებით ბალტიის ზღვასა და შავ ზღვაში.

საქართველოდან ტურისტები სზოგადოებრივ საფუძველებით აგრეთვე საკუთარი ავტომობილებით.

(საქინფორმი).

ანდრო ჭილაია

საქართველოს უმაღლესი განათლების მუშაკთა რიგებს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გამოაკლდა ღვაწლმოსილი მეცნიერი, თბილისის მრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის პროფესორი ანდრო რომანოზის-ძე ჭილაია.

ა. ჭილაია დაიბადა 1903 წელს სოფელ ნახუნავრში (ვეგეჭკორის რაიონი). დაწყებითი სწავლა თავის სოფელშივე მიიღო, ხოლო საშუალო სასწავლებელი დაამთავრა ვეგეჭკორში. 1926 წელს მას ნიშნავენ მასწავლებლად მანგლისში. სადაც 1930 წლამდე მასახრობდა ჯერ დაწყებით, შემდეგ მუშა-ახალგაზრდობის სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. სულ მალე იგი ამ სკოლის დირექტორად იქნა დაწინაურებული.

1930 წელს, როგორც წარჩინებული მასწავლებელი, მიწვეულ იქნა თბილისში, უმაღლესი განათლების მისაღებად. უმაღლეს სასწავლებელში სწავლის პარალელურად ა. ჭილაია მუშაობდა ლექტორად ჯერ მასწავლებლთა დახელოვნების ინსტიტუტში, ხოლო შემდეგ პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში. 1940 წელს დაიწყო ლექციების კურსის კითხვა უნივერსიტეტში და სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე დაუზარებლად იღვწოდა სტუდენტებისა ახალგაზრდობის მეცნიერული ცოდნით აღჭურვისათვის.

1941-1945 წლების ომისა ელ-ში ა. ჭილაია ხელმძღვანელობდა დაუსწრებელ სწავლებას ფილოლოგიის ფაკულტეტზე როგორც დეკანი. 1945-50 წლებში მას ეკავა პროორექტორის თანამდებობა ოაუსწრებელი სწავლების დარგში.

ა. ჭილაიამ ლიტერატურის თეორიის — ქართული საკითხი დაიარკვია ქართველ ... პრაქტიკის მიხედვით, როგორც პედაგოგი იგი მონაწილე იყო სახელმძღვანელოთა შედგენისა. უმაღლესი და საშუალო სკოლების პროგრამების დამუშავებისა, ახალი ქართული ლიტერატურის ... თედრის მიერ მომზადებული ორტომეული სახელმძღვანელოსი.

ა. ჭილაიის კაპიტალური ნაშრომი გ. წერეთლის საზოგადოებრივი მოღვაწეობისა და მხატვრული შემოქმედების შესახებ გამოიცა ორჯერ 1964 და 1967 წწ. მნიშვნელოვანია მისი „ლიტერატურისმცოდნეობის ძირითადი ცნებები“ (1971 წ.). სტუდენტებისა ფილოლოგთა და მასწავლებელთათვის გამიზნული წიგნი, რომელშიც პირველად ქართულ ენაზე არის წარმოდგენილი განმარტებანი ლიტერატურისმცოდნეობის ტერმინებისა და სიტყვა-კაზმული მწერლობის ფრიალერთობანი. მის კალამს ეკუთვნის თეორიული გამოკვლევები პოეტური სინტაქსის, სემანტიკის, პოეტიკური სტილისტიკისა და ფონეტიკის ბუნების შესახებ ქართული ლექსის რითმისა, მახეილისა და ბუნების საკითხების რეკვეა, მხატვრული ნაწარმოების კომპოზიციის ენებებისა და ხასიათის განმარტებანი. ქართველ მწერალთა ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ალექსანდრე ყაზბეგის, ვაჟა-ფშაველას პოეტიკის, მხატვრული სტილის, შემოქმედებითი თავისებურებებს, მათი ენერგიისა და თემატიკის კვლევა და დახასიათება ყველა, ვისაც ერთხელ მაინც ჰქონია მასთან საქმიანი შეხვედრა, არასოდეს არ დაივიწყებენ ქვეყნის დიდად მოსიყვარულო, მოალერსე მამულიშვილს და კეთილსინდისიერ მეცნიერს.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო; თბილისის ზრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ქრონიკა ბიბლიოთეკიდან

გაზაფხული დედაქალაქში



ეს სურათი გუშინ გადაიღო ნვენმა ფოტოკორესპონდენტმა ხ. კილაძემ თბილისში გამარჯვების პარკში.

ალამეთი ყველანი ოჯახში შეგეკრიბეთ. ვახშმის შემდეგ ათას რამეზე ესაუბრობდით და ვმსჯელობდით... ბოლოს ოჯახის წევრთა ყურადღება მიეპყრო თვეური შემოსავლის სწორად ხარჯვისა და მისი დაზოგვის იდეას.

— მაინც როგორ აპირებ ამას? — დაინტერესდა მეუღლე.

ვაუწყე, რომ ამიერიდან ოჯახის თვითეულ წევრს პირობა უნდ მიგვეცა ერთმანეთისათვის — მტკიცე ნებისყოფა, პრინციპულობა გამოგვეჩინა და არც ერთი კაპიკი არ გადაგვეყოლებინა არავისთვის. აღრე ასეთი გაუთვალისწინებელი ხარჯებით ხუთ სულს ყოველდღე ხამ მანეთზე მეტი გვეკარგებოდა...

— ვითომ გამოგვიგა რამე? — ჩაიდეღუნა უმცროსმა ვაჟმა ელგუჯამ.

— ეგეი მეპარებაო! — გამოთქვა აზრი რძალმა.

— მარტო ჩვენ რას ვაკეთებთ! — დაუმატა მეუღლემ.

უფროსი შვილი ანდრო მხიარულად მოგვეგრეზოდა, ხარჯვნელი თითით საფეთქელს ისრესდა და გვაგრძნობინებდა, რომ ტყუილად ცოდვილობთო...

ასე თუ ისე, კარგა ხნის კამათის შემდეგ, შეეთანხმდით — მეორე დღიდან ფულს დავხარჯავდით მთელი სიზუსტით...

გათენდა. საქმეზე წავედი. ტროლეიბუსში ავედი და კონდუქტორს შეურიანი გავუწოდე. მან ბილეთი მომიხია. დავჯექი სკამზე და მაშინ გამახსენდა, რომ კაპიკი ხურდა არ დამიბრუნა. წამოვიწიე, მაგრამ ისევ გაჩუმება ვარჩიე...

... კინოში შევედი. ფოიეში ნაყინს ჭიყიდნენ.

— ქალბატონო, რამდენი მოგარგოთ? — მიემართე.

— ოცდახუთი კაპიკი.

გამოვართვი ნაყინი, გვერდით მივდექი, ქალაღლი რომ მოვაციე, ზედ ნაყინის ფასი 19 კაპიკი ამოვიკითხე. გამყიდველისკენ გავწიე, მაგრამ შევდექი, რატომღაც ვეღარ შევბედე, რომ ექვსი კაპიკი ხურდა მომეთხოვა. ვიფიქრე: გამყიდველს ხომ შეუძლია მომიდგოს, დამიტანოს — ნაყინიც მოგვეცი და ხურდაცაო? ფურიდიულად გაიმართლებდა თავს, შემარცხვენდა. ეარეუმენ ეარეო, დამეჩერებინა, რომ პრინციპულობის გამოჩენაც არც გამსხვენებია!

— შუადღე ვადავიდა. ტელეფონთან აღმოვჩნდი.

„ეოლეგაში“ მოქალაქე ჩაჯდა და მაშინვე გაისმა ავტომძღოლის ხმა:

— ვაკეში ჩამოსვლელი არავინ ხართ?

ბუნდ მიმავალნი ხამნი აღმოვჩნდით, ჩავსხედით...

— ... ეარეო! — ეთხოვე და მანეთიანი გავუწოდე.

... ავტომძღოლმა გააჩერა მანქანა, ფული ჩაიდო ჯიბეში, მაგრამ 35 კაპიკის დაბრუნებას არც ფიქრობდა, რომ ვანიშნე, ხურდა მოეცა და თან დავაყოლე, — არ გაგიგიათ, ზოვა კოეზით დაილეკაო, მე ფულს კი არა ვჭრი...

იგი სიბრაზისაგან აენთო, მანეთიანი ამოიღო, მომიგდო და მომახსა:

— მათხოვარი ყოფილხარ, აიღე შენი ფული და წადი!

მეზობლებს გადავაკვლე თვალი, მაგრამ ამაოდ, ყველამ წაიყრუა, ისინი მდუმარედ ისხდნენ, არავინ ეამოქმედაგა, შემრცხვა და იძულებული გავხდი ჩამოვსულიყავი და მანეთიანიც იქ დამეტოვებინა...

„ეოლეგაში“ ჩავედ და ბოლოს ... ბოლოს, ამჯერად მძარცველნენ. დამცირებული და დაგნიბეული დავბრუნდი შინ...

— რა ქენი, ბიჭო? — ეკითხა ელგუჯას.

— მამა, ძლიერ ვეეადე, ძლიერ. მაგრამ 49 კაპიკი მაინც დამატოვინეს, რასაკვირველია, ბუშინდელზე სამჯერ ნაკლები.

— ყოჩაღ, მართლაც იოლათ ადარჩენილხარ! — ეაეუმრა ანდრო.

— შინ, ანდრო?

— 28 კაპიკზე მეტი ვერ მივარ-თვი!

— მამა, — რძალმა თვითონვე აღიარა, — 32 კაპიკი დამაკლეს ბრინჯისა და შაქრის ფხვნილის ყიდვის დროს...

— შენ თვითონ რამდენი მოგატყუეს? — მკითხა მეუღლემ, — სწორად გვითხარი, არ დაგვიმალო!

—მე? ნურას უკარცავად, არც ერთი კაპიკი!

რატომღაც შემატყვეს, რომ ვიტოლობდი, მაგრამ ველარაფერი შემომბეღეს...

მოგვიანებით, როცა მარტო დავრჩი, ჩვენი ოჯახისგან წაგალეკილი კაპიკები შევაჯამე და გამოვიდა ერთი თანხა ადადამავლა 365-ზე და შეადგინა 708 მანეთი და 10 კაპიკი.

ვინ უწყის ამ ფულის ოდენობის გამომხატველი ციფრები, რამდენაო, მიტი იქნებოდა, რომ ბოლო ხანებში ქმედითი, ადამჭრელი ლონისძიებები არ გატარებულიყო გამომძალველების, მომზვიქალების, ქურდ-ბაცაცების გამოსავლენებლად და მათ ასაღგამავად...

— დღემდე რაც ოყო, იყო! — თითქმის ყვირილით ვთქვი, — ამის შემდეგ აოარ გამეორდება ასეთი რამ, ტყეილ-უბრალოდ არც ერთი კაპიკი არაგეს!

გიორგი კაკიაშვილი.

ზღვა კოვზით დაილია

დაფიქრებულხართ ამაზე?

„ეს არის პრინციპულობა, ნებისყოფა?!“ — ბრაზი მომეიოდა.

ვინოს შემდეგ აბანოში წავედი...

— ერთი ბილეთი საერთოში, საპონი და ზეწარი! — მანეთიანი გავუწოდე მოლარეს.

— ინებეთ! — გადმომცა ბილეთები და საპონი.

— ეს არის სულ?

— დიახ.

— აღარაფერი მეკუთვნის?

— მეგობარო, ერთ მანეთად რა, აბანოს ყიდვას აპირებ? — ირონიულად მომაძახა ერთმა, — ხედავთ რამდენი ბიცდიო?!

— გვეჩქარება, გაგვატარეთ! — ატყდა ხმაური, ხითხითი, — ჯერ სადა ხარ, მექისუსათვის გაამზადე მანეთიანი!

რაღა მეჭნა, ხმა ვერ ამოვიღე, გავერიდე ყველას, 43 კაპიკს ვიდა ჩიოდა, აბანოში შესვლა გადავიფიქრე. ერთი სიტყვით, ისე გამოვიარე — ეააჩერეთ! — ვთხოვე და მანეთიანი გავუწოდე.

... ავტომძღოლმა გააჩერა მანქანა, ფული ჩაიდო ჯიბეში, მაგრამ 35 კაპიკის დაბრუნებას არც ფიქრობდა, რომ ვანიშნე, ხურდა მოეცა და თან დავაყოლე, — არ გაგიგიათ, ზოვა კოეზით დაილეკაო, მე ფულს კი არა ვჭრი...

იგი სიბრაზისაგან აენთო, მანეთიანი ამოიღო, მომიგდო და მომახსა:

— მათხოვარი ყოფილხარ, აიღე შენი ფული და წადი!

მეზობლებს გადავაკვლე თვალი, მაგრამ ამაოდ, ყველამ წაიყრუა, ისინი მდუმარედ ისხდნენ, არავინ ეამოქმედაგა, შემრცხვა და იძულებული გავხდი ჩამოვსულიყავი და მანეთიანიც იქ დამეტოვებინა...

„ეოლეგაში“ მოქალაქე ჩაჯდა და მაშინვე გაისმა ავტომძღოლის ხმა:

— ვაკეში ჩამოსვლელი არავინ ხართ?

ბუნდ მიმავალნი ხამნი აღმოვჩნდით, ჩავსხედით...

— ... ეარეო! — ეთხოვე და მანეთიანი გავუწოდე.

... ავტომძღოლმა გააჩერა მანქანა, ფული ჩაიდო ჯიბეში, მაგრამ 35 კაპიკის დაბრუნებას არც ფიქრობდა, რომ ვანიშნე, ხურდა მოეცა და თან დავაყოლე, — არ გაგიგიათ, ზოვა კოეზით დაილეკაო, მე ფულს კი არა ვჭრი...

იგი სიბრაზისაგან აენთო, მანეთიანი ამოიღო, მომიგდო და მომახსა:

— მათხოვარი ყოფილხარ, აიღე შენი ფული და წადი!

მეზობლებს გადავაკვლე თვალი, მაგრამ ამაოდ, ყველამ წაიყრუა, ისინი მდუმარედ ისხდნენ, არავინ ეამოქმედაგა, შემრცხვა და იძულებული გავხდი ჩამოვსულიყავი და მანეთიანიც იქ დამეტოვებინა...

— დავაროვიე პირობა, ვერ გამოვიჩინე პრინციპულობა, ნებისყოფა, ბოლმა მარჩოდა, რომ, დღისით, ხაჯაროთ, ამჯარად მძარცვავდნენ. დამცირებული და დაგნიბეული დავბრუნდი შინ...

— რა ქენი, ბიჭო? — ეკითხა ელგუჯას.

— მამა, ძლიერ ვეეადე, ძლიერ. მაგრამ 49 კაპიკი მაინც დამატოვინეს, რასაკვირველია, ბუშინდელზე სამჯერ ნაკლები.

— ყოჩაღ, მართლაც იოლათ ადარჩენილხარ! — ეაეუმრა ანდრო.

— შინ, ანდრო?

— 28 კაპიკზე მეტი ვერ მივარ-თვი!

— მამა, — რძალმა თვითონვე აღიარა, — 32 კაპიკი დამაკლეს ბრინჯისა და შაქრის ფხვნილის ყიდვის დროს...

— შენ თვითონ რამდენი მოგატყუეს? — მკითხა მეუღლემ, — სწორად გვითხარი, არ დაგვიმალო!

—მე? ნურას უკარცავად, არც ერთი კაპიკი!

რატომღაც შემატყვეს, რომ ვიტოლობდი, მაგრამ ველარაფერი შემომბეღეს...

მოგვიანებით, როცა მარტო დავრჩი, ჩვენი ოჯახისგან წაგალეკილი კაპიკები შევაჯამე და გამოვიდა ერთი თანხა ადადამავლა 365-ზე და შეადგინა 708 მანეთი და 10 კაპიკი.

ვინ უწყის ამ ფულის ოდენობის გამომხატველი ციფრები, რამდენაო, მიტი იქნებოდა, რომ ბოლო ხანებში ქმედითი, ადამჭრელი ღონისძიებები არ გატარებულიყო გამომძალველების, მომზვიქალების, ქურდ-ბაცაცების გამოსავლენებლად და მათ ასაღგამავად...

— დღემდე რაც ოყო, იყო! — თითქმის ყვირილით ვთქვი, — ამის შემდეგ აოარ გამეორდება ასეთი რამ, ტყეილ-უბრალოდ არც ერთი კაპიკი არაგეს!

გიორგი კაკიაშვილი.

ამ ... ...